საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 183 (985) | ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 1994 წელი. | ფასი 100.000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება

რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტისათვის ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და დამაგრების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტისათვის მფრინავების, საჰაერო დისპეტჩერების სპეციალობებზე კადრების მოზიდვის და დამაგრების მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ დროებით, განსაკუთრებული განკარგულების მიღებამდე, შეაჩეროს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში საჰაერო ტრანსპორტის წვევამდელი თანამშრომლების, მფრინავების და საჰაერო მოძრაობის დისპეტჩერების გაწვევა.
2. საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსმა ზ. ჭანკოტაძემ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგინოს სხვადასხვა რესპუბლიკებში მფრინავების და საჰაერო მოძრაობის დისპეტჩერების სპეციალობების კურსდამთავრებულთა, შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან დროებით შესაჩერებელ წვევამდელთა სია, ხოლო მათი სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში შესაბამის სამხედრო კომისარს არაუგვიანეს 5 დღისა გაუგზავნოს შეტყობინება ბრძანების ამონაწერის სახით. წვევამდელებს, რომლებიც გათავისუფლებული იქნებიან სამუშაოდან, ეკარგებათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლება.
3. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მთავარ შტაბს.

ე. შევარდნაძე

გაიმართება რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით 1994 წლის 15 ოქტომბერს 11 საათზე, საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი. მოისმენენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის იგორ გიორგაძის, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის თედო ნინიძის ინფორმაციებს „დამნაშავეობასთან ბრძოლის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 12 ივლისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობისა და რეკეტისა და მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

რატომ იწვოდა ტელეანძა?

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის უშიშროების სამსახურის სამმართველოში აცნობეს, 11 ოქტომბერს, 22 საათზე ტელერადიოსატრანსლაციო კოშკზე მთაწმინდაზე, დაიწყო ხანძარი. იწვოდა ტელეკომპანია „თამარიონის" სამსახურებრივი სათავსები. საქალაქო სახანძრო სამსახურის ჩარევის შემდეგ 12 ოქტომბერს დილის ექვსი საათისათვის ცეცხლი ჩააქრეს. და მაინც, გარკვეული დროის შემდეგ ანძის სხვადასხვა ადგილებში კვლავ ინტენსიურად იწყო კვამლმა გამოსვლა. მხოლოდ იმ დღის 12 საათისათვის იკლო ცეცხლმა. ხანძრის შედეგად ტელეანძისათვის მიყენებული ზარალი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

სამწუხაროდ, საქინფორმის კორესპონდენტთა მრავალი ცდის მიუხედავად, გაერკვიათ მომხდარის მიზეზები, ვერა და ვერ მოახერხეს სახანძრო სამსახურთან და პოლიციასთან, აგრეთვე კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ტელეფონით დაკავშირება. გარკვეული არ არის, როდის ამოქმედდება ტელეანძა. ნათელია მხოლოდ ერთი რამ, რომ მისი მწყობრიდან გამოსვლა, ფაქტობრივად ნიშნავს საქართველოს დროებით ტელერადიობლოკადას. ალბათ რესპუბლიკაში მოქმედი კერძო ტელეკომპანიები, რომლებსაც თანამგზავრის კავშირის საკუთარი ანტენები აქვთ, თავიანთი პროგრამებით ვერ შეავსებენ ტელერადიოსიცარიელეს საქართველოში.

საბედნიეროდ, 12 ოქტომბერს ტელევიზიის გადაცემები განახლდა.



სურათზე: იწვის ტელეანძა.
საქინფორმის ფოტოქრონიკისა და სიმონ კილაძის ფოტო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოსატელევიზიო კომუნიკაციათა სამმართველოს თბილისის სატელევიზიო გადამცემი სადგურის ანძაზე ხანძრის გაჩენის მიზეზების შესწავლისა და აღდგენითი სამუშაოების განსაზღვრისათვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ

1994 წლის 11 ოქტომბერს ხანძარი გაუჩნდა საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოსატელევიზიო კომუნიკაციათა სამმართველოს თბილისის სატელევიზიო გადამცემი სადგურის ანძას, ხანძრის ლიკვიდაცია მოხერხდა დიდი დაგვიანებით, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზარალი.

ხანძრის გაჩენის მიზეზების შესწავლისა და აღდგენითი სამუშაოების განსაზღვრისათვის შეიქმნას სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ კერვალიშვილი — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე
გურამ მირიანაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე
ჯემალ გახოკიძე — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე
თემურ ბრძოლიძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე
ფრიდონ ინჯია — საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი
გოჩა პაიჭაძე — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე
არჩილ ლოლობერიძე — საქართველოს რესპუბლიკის ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი
ნოდარ ედიშერაშვილი — თბილისის სამეცნიერო კვლევითი და ექსპერიმენტალური პროექტირების ინსტიტუტის განყოფილების გამგე
გივი გამყრელიძე — „საქმონტაჟსპეცმშენის" უფროსი
გურამ გაბრიჩიძე — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი
ილია ბარათაშვილი — მეტალურგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ე. შევარდნაძე

მერვე სვეტი

ყინული დაიძრა...

რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობაზე დაყრდნობით საქინფორმი იუწყება, რომ 12 ოქტომბერს, გაეროს მეთვალყურეთა თანხლებით, გალის რაიონში შევიდა 19 ლტოლვილი რომელთა ანკეტები შემოწმებულია აფხაზური მხარის მიერ.

მუშაობის გასაუმჯობესებლად

12 **ოქტომბერს** პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან თამაზ ნადარეიშვილთან გაიმართა სამუშაო თათბირი მაშველთა კორპუსის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მუშავდება კანონპროექტი, რომელიც დასამტკიცებლად გატანილი იქნება მინისტრთა კაბინეტის მომავალ სხდომაზე. ამის შემდეგ კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

შეხვედრა დიდი ბრიტანეთის დელეგაციასთან

11 **ოქტომბერს** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ თემურ ბასილიამ მიიღო დელეგაცია დიდი ბრიტანეთიდან, რომელსაც ხელმძღვანელობს ფირმა „ჯორჯიენ თრეიდის" გენერალური მენეჯერი კრისტოფერ ვილსონი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი პარტლი ბუტი, საქველმოქმედო საზოგადოება „ვესო"-ს წარმომადგენელი მარკ ეიტჩენი, ფირმა „ჯორჯიენ თრეიდის" დირექტორი პიტერ ედვარდსი და ამავე ფირმის დირექტორი საქართველოში გივი ტაბატაძე.

შეხვედრაზე განიხილეს ფირმა „ჯორჯიენ თრეიდის" მიერ შედგენილი და საკმაოდ პრესტიჟული ფირმა „კუპერს ლიბრანდის" მიერ ლიცენზირებული 4 პროექტი, რომლებიც ძირითადად მრეწველობის სფეროს მოიცავენ. აღნიშნულ პროექტებზე მუშაობა 14 ოქტომბრის შეხვედრაზე დასრულდება.

რთველი ბოლნისში

საშემოდგომო მარათონია ბოლნისის რაიონში. აქაური მშრომლები ხელსაყრელ ამინდებს ეშურებიან. მათ წარმატებით ჩააბარეს ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების აღების გამოცდა და ახლა ესტაფეტა მევენახეებს გადაულოცეს. როგორც ბოლნისის ღვინის ქარხნის დირექტორმა ბიძინა ჯავახიძემ მითხრა, წლეულს ისინი 2 ათას ტონაზე მეტ ყურძენს მიიღებენ. ქარხანაში ყოველდღიურად 60-75 ტონა ყურძენი შედის. დღეისათვის მიკრეფილია 900 ტონაზე მეტი. რთველი წარმატებით გრძელდება.

მურად ნასყიდაშვილი,
„სრ" საკ. კორესპონდენტი.

„საქენერგო" გვაფრთხილებს

11 **ოქტომბერს** „საქენერგოს" დეპარტამენტში გაიმართა სხდომა მისი ხელმძღვანელის იური შედიას თავმჯდომარეობით. აღინიშნა, რომ ცალკეული საწარმოო ობიექტების დებიტორული დავალიანება „საქენერგოს" მიმართ 20 ტრილიონ კუპონს აღემატება. „საქენერგო" ყოველგვარი ხერხებით ცდილობს მომხმარებელთაგან ამ თანხის მიღებას, რათა თავის ობიექტებზე სარემონტო სამუშაოების შესრულება უზრუნველყოს, მაგრამ — უშედეგოდ. უკანასკნელ ზომად ელექტროენერგიის გამორთვა რჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში რესპუბლიკის ენერგოსისტემის კატასტროფა გარდუვალია.

აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მეთაურის მითითების თანახმად, ელექტროენერგიის ურჩ გადამხდელებს შეუწყდებათ დენის მიწოდება, თუკი არ დაფარავენ უკვე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს.

აქტუალური ინტერვიუ

თემურ ფიფია: „ჯერ მხოლოდ ხნული გავავლეთ თვალუწვდენელ ტრამალზე"

თემურ ფიფია დაიბადა 1958 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. არის ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი. ამჟამად თსუ-ს ფილოსოფიის ფაკულტეტის ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის მეცნიერ-ხელმძღვანელია.

1992 წელს დაინიშნა ადგილობრივი მმართველობის რეფორმის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარედ. 1993 წლიდან მუშაობს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

—ბატონო თემურ, ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ სახელმწიფოს მეთაურის აპარატზე. შეიძლება ითქვას, რომ მას ყველა მხრიდან აკრიტიკებენ. რა არის აპარატის ასეთი გააფთრებული კრიტიკის მიზეზი?

— მოგეხსენებათ, პოლიტიკაში უპირველესი ძალაუფლების საკითხია და საზოგადოებაში არსებული ყოველი პოლიტიკური ძალა, რაც შეიძლება მეტი ძალაუფლების „დათრევას" ცდილობს. მეთაურის აპარატის ძალისხმევა, ცხადია, სახელმწიფოს მეთაურის ძალაუფლების განმტკიცებისაკენ არის მიმართული, რომელიც დღევანდელ ვითარებაში ქვეყნის სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს. მტკიცე, ძლიერი ხელისუფლების არსებობა კი დღეს ძალიან ბევრს ხელს არ აძლევს საქართველოში (სამწუხაროდ, არა მხოლოდ ოპოზიციაში). ალბათ, დამეთანხმებით, მეთაურის აპარატი უმოქმედოდ რომ იყოს და გარკვეულ როლს არ ასრულებდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მასზე ასეთ ხმაურს არ ატეხავდნენ. როგორც ჩანს, იგი თავის ფუნქციას ასრულებს.

— სხვა ქვეყნებში თუ არსებობს მსგავსი სამსახურები?

— ჩვენი სამსახურის შექმნა ვინმეს ახირება არ ყოფილა. ტოტალიტარული სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ აუცილებელი გახდა მართვის ცენტრალური ორგანოს შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მუშაობას, მათ მუშაობის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს შეუქმნიდა, ერთიან საშინაო პოლიტიკას გაატარებდა, კოორდინაციას გაუწევდა რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, ორგანიზაციათა მუშაობას ადგილობრივი მმართველობის საკითხებში, გააკონტროლებდა იმ კანონებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას, რომლებიც ეხებიან ადგილობრივი მმართველობის სისტემის განვითარებას, მართვის ახალი ფორმების დანერგვის საკითხებს; მოაგვარებდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელი კადრების აღრიცხვას, იზრუნებდა მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად; განიხილავდა მოქალაქეთა განცხადებებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა მუშაობისა და მათ მიერ მიღებულ აქტების კანონიერების თაობაზე.

როგორც ვხედავთ, ჩვენი სამსახურის წინაშე მრავალფეროვანი ამოცანები დგას, რაც ქვეყანაში არსებული რეალობიდან გამომდინარეობს. სხვა საკითხია, თუ სად, რომელ სტრუქტურაში იმუშავებდა ჩვენი სამსახური, სხვადასხვა ქვეყანაში ამის განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. ზოგან იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შედის (თურქეთი), ზოგან მინისტრთა კაბინეტში დამოუკიდებელი დეპარტამენტის თუ სამინისტროს სახით (ბალტიისპირეთი), ზოგან პრეზიდენტის აპარატში. იმის გამო, რომ დღეს ადგილობრივი მმართველობის პირველ ხელმძღვანელს სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს, მიზანშეწონილია იგი მეთაურის აპარატში არსებობდეს, თუმცა ეს რამდენადმე ზღუდავს სამსახურების ფუნქციებს, ვინაიდან აპარატის დანიშნულებიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვკისრულობთ აღმასრულებელ ფუნქციას და მხოლოდ კოორდინაციის და კონტროლის ფუნქციებით ვიფარგლებით.

— ბატონო თემურ! თქვენი სამსახური ყველაზე მრავალრიცხოვანია და ფუნქციებით თუ ვიმსჯელებთ, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მეთაურის აპარატში. უკვე მეორე წელიწადია მუშაობთ, რისი გაკეთება შეძელით?

— ჩვენი სამსახურის საქმიანობა, ძირითადად ოთხი მიმართულებით წარიმართა:

პირველი — ეს არის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

შევქმენით ჩვენი სამსახურის დებულება, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით დამტკიცდა. ამის შემდეგ მომზადდა 31 ნორმატიული აქტი და 3 ანალიტიკური გამოკვლევა ადგილობრივი მმართველობის საკითხებზე. აქედან მიღებულია, დამტკიცებულია და მოქმედებს 21 ნორმატიული აქტი.

ჩამოვთვლი მხოლოდ რამდენიმე ნორმატიულ აქტს, რომელიც ჩვენ მოვამზადეთ და სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებების საფუძველზე მოქმედებს: პირველი და უმთავრესი — „დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ". ეს დებულება ფუნდამენტური ნორმატიული აქტია, რომელმაც ადგილობრივი მმართველობის სამართლებრივი ბაზა მოაწესრიგა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პირობები შექმნა საქართველოში. დებულებაში შეტანილმა მუხლებმა არა მარტო განამტკიცა ადგილობრივი მმართველობა, არამედ გაზარდა მისი უფლებები. ეს ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბების გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯია. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს დებულება უცვლელად გადაიღო აჭარის უზენაესმა საბჭომ და აჭარის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის სამოქმედოდ შემოიღო.

ჩვენმა სამსახურმა მოამზადა აგრეთვე დროებითი დებულებები რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორის, წყალტუბოს ზონის მმართველობის შესახებ. აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის მმართველობის ორგანოების უფლებამოსილების შესახებ".

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩვენი სამსახურის ინიციატივით ერედვისა და ქურთის თემების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხანგრძლივ პერსპექტივაზე გვაქვს გათვლილი, მათი შექმნის დადებითი პოლიტიკური ეფექტი უკვე საკმაოდ საგრძნობია.

საქართველო, მომავალში, გვინდა თუ არ გვინდა, გვერდს ვერ აუვლის სამხარეო მოწყობას, ჩემთვის ცნობილ საქართველოს მომავალი კონსტიტუციის 6 პროექტში სამხარეო მოწყობის პრინციპი თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, უკვე მოვამზადეთ გარკვეული საფუძველი სამხარეო მოწყობაზე გადასასვლელად. შეიქმნა და უკვე რეალურად განხორციელდა დროებითი დებულებები კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულების შესახებ. ასევე ჩვენთან მომზადდა დროებითი დებულება „დასავლეთ საქართველოს ზონის საგანგებო სიტუაციების დროებითი კომიტეტის შესახებ". ყველა ამ დებულებამ და მათმა განხორციელებამ საშუალება მოგვცა მეტ-ნაკლებად დაგვერეგულირებინა მდგომარეობა რეგიონებში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა გაფართოება და აქ რეფორმების გატარება აუცილებლად მოითხოვს ცენტრალური უწყებების — სამინისტროების ფუნქციების ახლებურ გააზრებას. სამწუხაროდ ამ მოთხოვნებით რაიმე არსებითი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა. სამინისტროები თავიანთი ძველი ფუნქციებით უკვე აღარ შეესაბამებიან დღევანდელ რეალობებს და სერიოზულ დაბრკოლებებს წარმოადგენენ ქვეყნის ახლებურად მოწყობის გზაზე. თეორიული ნაბიჯი ამ მიმართულებითაც გადავდგით: შევიმუშავეთ კონცეფცია „შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების პრინციპების შესახებ", დებულება „მუნიციპალური პოლიციის შესახებ", „საშინაო პოლიტიკის დეპარტამენტის შესახებ". სამწუხაროდ, ისინი ჯერჯერობით ქაღალდზეა.

ჩვენი სამსახურის მუშაობის მეორე მიმართულება გახლავთ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენა და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა.

საქართველო ნახევარ საუკუნეზე მეტი სხვა ქვეყნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო და მასთან იყო ინტეგრირებული. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი გავხდით, აღმოჩნდა, რომ თვით საქართველოს რეგიონები თითქმის მოწყვეტილია ერთმანეთს. არ ვიცით, ვის რა სიმდიდრე აქვს და თურმე საქართველოშივე შეიძლება შენთვის საჭირო საქონელი მოიპოვო, რომელსაც ადრე შორს ეძებდი. ამიტომ დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დგას ქვეყნის შიგნით, რეგიონების ეკონომიკური ინტეგრირება. ეკონომიკურთან ერთად, მას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ადრე, როგორც ჩანს, გარედან „ჩექმა" უფრო გვაერთიანებდა. რეგიონებს შორის ინტეგრაციის პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს, როგორც ერთიანი სამეურნეო-ეკონომიკური ორგანიზაციის შექმნას.

ჩვენი სამსახურის სოციალურ-ეკონომიკური განყოფილების ძალისხმევაც აქეთკენ არის მიმართული. გამგებლებთან ტრადიციულ ყოველთვიურ შეხვედრაზე ამ მხრივ გარკვეული მუშაობა ტარდება. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ჩვენ მოვახდინეთ საქართველოს ყველა რაიონის პასპორტიზაცია, სადაც შევკრიბეთ სრული ინფორმაცია მათი სამეურნეო, ეკონომიკური, ფინანსური და ადამიანთა რესურსებზე: ახლა ვქმნით ამ ინფორმაციის კომპიუტერულ ბანკს, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო კარგად ვმართოთ რეგიონები და ხელი შევუწყოთ ინტეგრაციის პროცესებს.

რაიონებს ეკონომიკის, კერძო ბიზნესის განვითარების კონკრეტული პროგრამები დავამუშავებინეთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ქარის ელექტროსადგურების აგების ძალზე საინტერესო პროგრამები აქვთ გორსა და სამტრედიაში. ლაგოდეხში — თამბაქოს ფაბრიკების ქსელის შექმნისა, ანაკლიაში — დახურული ნავსადგურის აშენებისა, ჯავახეთში — ქვის დამუშავებისა და ყველის ინდუსტრიის განვითარებისა და სხვა. ამ თვის დამლევს ასოციაცია: „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების" ხელშეწყობით ლუქსემბურგში, ევროპელი ბიზნესმენების წინაშე გვინდა ამ პროგრამების პრეზენტაცია.

ჩვენი სამსახურის მუშაობის მესამე მიმართულება რეგიონებში მიმდინარე პროცესზე ოპერატიული ინფორმაციის მიღება და მათზე რეაგირებაა. კარგად მოგეხსენებათ მთლიანად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, რაც ძალზე ხშირად აქა თუ იქ საგანგებო სიტუაციებს ქმნის. ამის გამო, მეც და ჩემს თანამშრომლებს სისტემატურად გვიხდება რეგიონებში ყოფნა და სიტუაციების მეტ-ნაკლებად განმუხტვა. თუ ზედმეტ თავის ქებად არ ჩაგვითვლით, ვფლობთ სიტუაციას რაიონებში, ან უარეს შემთხვევაში, გვაქვს ზუსტი ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე.

ჩვენი მუშაობის ეს მიმართულება მართალია უჩინარია და საკმაოდ უმადურიც, მაგრამ იგი სახელმწიფოს სჭირდება.

ჩვენი სამსახურის მუშაობის მეოთხე მიმართულება საკადრო საკითხებია. „ხელისუფლების შესახებ" კანონით სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს და ათავისუფლებს რაიონებისა და ქალაქის გამგებლებსა და მერებს. კადრების შერჩევა და სახელმწიფოს მეთაურისათვის წინადადებების წარდგენა ჩვენს ფუნქციებში შემოდის. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ გაცილებით უკეთ ვიგრძნობდით თავს და მეტის გაკეთებასაც შევძლებდით, დანიშვნის მექანიზმი რომ არ არსებობდეს. ეს უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, რამაც პირადად მე უამრავი მოწინააღმდეგე გამიჩინა, რომელთაც არაფრად უღირთ ადამიანების ღირსებების შებღალვა.

— კადრების შერჩევა ყოველთვის ძნელი პროცესი იყო...

— დიახ, მაგრამ იგი დღეს, ჩვენი მრავალპარტიულობის პირობებში, გაცილებით ძნელი და რთულია. ამ პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო გზა ადგილობრივი არჩევნების ჩატარება იქნებოდა და ჩვენმა სამსახურმა მოამზადა კანონპროექტები ადგილობრივ არჩევნებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლებზე. იგი წარვუდგინეთ პარლამენტს, სადაც რამდენჯერმე განიხილეს, მაგრამ ვერ მიიღეს. ამიტომ ადგილობრივი არჩევნების ჩატარება კონსტიტუციის მიღებამდე გადაიდო. ამდენად გვინდა არ გვინდა, ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელის ცენტრიდან დანიშვნის მექანიზმი რჩება და საჭიროა ვიღაცამ ეს პრობლემა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს. ავად თუ კარგად. ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამ პროცესს და ჯერჯერობით დიდ ძალისხმევის ფასად ვმართავთ მას.

— დღეს ოპოზიცია (და არა მხოლოდ ოპოზიცია) ბევრს ლაპარაკობს სახელმწიფოს მეთაურის უფლებებზე, მაგრამ არავინ უფიქრდება, თავისუფალია თუ არა სახელმწიფოს მეთაური თავისი უფლებების გამოყენებაში?

— ჩვენი მაგალითით მოგახსენებთ: მართალია, გამგებლების დანიშვნა სახელმწიფოს მეთაურის პრეროგატივაა, მაგრამ ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს პარლამენტი, სხვადასხვა პოლიტიკური ძალები და აქ ჩვენი თავისუფლება მართლაც შეგნებული აუცილებლობის დონეზეა.

მოვიყვან მცირე სტატისტიკას: 13 რაიონსა და ქალაქში გამგებლად, თუ მერად დეპუტატები დაინიშნენ, პარლამენტისა და ადგილობრივი დეპუტატების რეკომენდაციით 15 რაიონში დაინიშნენ გამგებლები, სახელმწიფოს საბჭოს დროიდან 12 გამგებელი აგრძელებს მუშაობას სხვადასხვა პოლიტიკური ძალების (რეკომენდაციით 8 რაიონში. ჩვენი სამსახურის რეკომენდაციით კი მხოლოდ 12 რაიონში დაინიშნა გამგებელი. ვერ ვიტყვი, რომ უპრინციპობას ვიჩენთ, მაგრამ იძულებული ვართ არსებული პოლიტიკური რეალობები გავითვალისწინოთ.

ამ მიმართულებით ჩვენს მუშაობას, მართალია სხვადასხვა ძალები სხვადასხვაგვარად აფასებენ. სამწუხაროდ, რატომღაც ყველას ჩვენი მუშაობის ეს მხარე უფრო აინტერესებს, თორემ ადგილობრივ მმართველობაში გატარებულ რეფორმებსა და გამოცემულ ნორმატიულ აქტებზე უბრალო გამოხმაურებაც კი არ ყოფილა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკურ ძალთა დღეს არსებულ მოზაიკას და ადგილებზე სხვადასხვა კლანებისა და ჯგუფების ურთიერთდაპირისპირების პირობებში, ერთადერთი შემთხვევა გვქონდა, როცა სახელმწიფოს მეთაურის მიერ დანიშნული გამგებელი ვერ შევიყვანეთ კაბინეტში (ეს გადაწყვეტილებაც პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა დიდი ხნის მანძილზე უხეში ზეწოლით მიგვაღებინა), ვფიქრობთ, მუშაობის ამ ურთულესი მიმართულებით გარკვეული შედეგები გვაქვს.

ადგილობრივი მმართველობა ხელისუფლების ხერხემალია და მინდა ყველამ იცოდეს, ურთულეს პირობებში მუშაობის მიუხედავად, როცა ადგილზე პირველ კაცს სთხოვენ ყველაფერს, უხარისხო პური იქნება თუ გაუფასურებული კუპონი და უშუქობა, ეს ხერხემალი საკმაოდ მტკიცეა. მოხდა ძველი, გამოცდილი კადრების შეხამება ახალ კადრებთან. თუმცა ჩვენი სამსახური უკვე შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, ცდილობს მაქსიმალურად ახალი თაობის წარმომადგენელს მიანიჭოს უპირატესობა. ბევრ რაიონში გაჩნდნენ ახალი პოლიტიკური სახელები, რომლებსაც ნელ-ნელა გაიცნობს მთელი საქართველო.

აი, მოკლედ ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შევძელით სახელმწიფოს მეთაურის უშუალო ხელმძღვანელობითა და მითითებით. ჩვენი სამსახური, მართალია მეთაურის აპარატში ყველაზე მრავალრიცხოვანია, მაგრამ სულ 25-კაციანი კოლექტივია, რაც არცთუ ბევრია დასახული ამოცანების შესასრულებლად. ამის კომპენსაცია ხდება ჩვენი თანამშრომლების მაღალი პროფესიონალიზმით და უდიდესი ენთუზიაზმით. უამენთუზიაზმოდ (რაც, სამწუხაროდ, ბევრისთვის გაუგებარია და საკუთარი არშინით ცდილობს მის გაზომვას) არაფერი გამოგვივიდოდა. მართალია, მუშაობას გვიადვილებს ის, რომ ჩვენს საქმიანობას ახლავს სიამოვნების მომენტი — **საკუთარი სახელმწიფოს შენების პროცესში მონაწილეობით გამოწვეული ბედნიერების განცდა.**

— ბატონო თემურ! ისე გამოდის, რომ კმაყოფილი ხართ თქვენი მოღვაწეობით.

— არამც და არამც — ჩვენი გაკეთებული მხოლოდ გაუბედავი ხნულია თვალუწვდენელ ტრამალზე, რომელსაც რეალური თვითმმართველობის და, მის საფუძველზე, ახალი სახელმწიფოს დამკვიდრება ჰქვია.

— რისი გაკეთება ვერ შევძელით?

—თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები არ შექმნილა, დღემდე ვერ გავმიჯნეთ ცენტრალური და მუნიციპალური საკუთრება, თვითუზრუნველყოფის პრინციპზე ვერ გადავიყვანეთ რაიონები, ვერ ავამოქმედეთ რეგიონებში არსებული უდიდესი პოტენციალი, ვერ ავაგეთ სახელმწიფო ქვემოდან ზემოთ, ვერ დავნერგეთ ინდივიდუალიზმი, როგორც სახელმწიფოს ძირითადი პრინციპი. ვერ დავძლიეთ მოსახლეობის სოციალისტური მენტალიტეტი, ვერ მოვახერხეთ ქართული სახელმწიფოს მოქალაქის ცნობიერების ჩამოყალიბება, ერთიანი, გააზრებული ურთიერთშეჯერებული საშინაო პოლიტიკის ჩამოყალიბება. აქედან ბევრი რამის გაკეთება ჩვენს სამსახურსაც ხელეწიფებოდა.

— დღევანდელ ხელისუფლებას ყველაზე მეტად საშინაო პოლიტიკის გამო აკრიტიკებენ. არადა, ბევრი რამ კი კეთდება. საბოლოო შედეგი კი, სამწუხაროდ, არ ჩანს.

— ახალი სახელმწიფოს მშენებლობის მეტად მტკივნეულ პროცესში ეფექტიანი საშინაო პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ სფეროში ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი საშინაო პოლიტიკის ინსტიტუციური სტრუქტურის არარსებობაა. ე. ი. გაურკვეველია, თუ როგორ და რა წესით მოხდება საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და მათი განხორციელება.

საშინაო პოლიტიკის დაგეგმვა უნდა ხდებოდეს კომპლექსურად და აუცილებლად ცენტრალიზებულად. დღეს ეს ასე არ ხდება. საშინაო პოლიტიკას უამრავი უწყება გეგმავს, თანაც არ არსებობს რაიმე ინსტანცია, რომელიც მათ მიერ შემუშავებული ღონისძიებების კოორდინაციას მოახერხებს.

სამაგიეროდ, ზედმეტად ცენტრალიზებულია საშინაო პოლიტიკის სფეროს ყოველი უწყება. ცენტრალიზებულია ოპერატიული მართვა, როცა სტრატეგიული მართვის ფუნქცია თითქმის არავის არა აქვს. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რომ ფაქტობრივად ერთიანი საშინაო პოლიტიკა არა გვაქვს.

— როგორ გესახებათ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი?

— ან სახელმწიფოს მეთაურთან შეიქმნას ფართო უფლებამოსილებიანი საშინაო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის სამსახური, ანდა ეს ფუნქცია უნდა იტვირთოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (ცხადია, ამ სამინისტროს ფუნქციის ახლებური განსაზღვრით) ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს მომავალს, საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობას შორის არჩევანს.

— მოდით უფრო კონკრეტულ კითხვებზე გადავიდეთ. რაც ეს სამსახური შეიქმნა, თქვენ ბრძანდებით მისი ხელმძღვანელი, მოქალაქეთა რამდენი განცხადება ან საჩივარი შეგისწავლიათ, განგიხილავთ და თქვენ ჩარევას შედეგი თუ ჰქონია?

— შარშან, იანვრიდან, რაც ჩვენი სამსახური შეიქმნა, 1 200-მდე წერილი თუ განცხადებაა შემოსული, რომლის უკან კონკრეტული პრობლემებით კონკრეტული ადამიანები დგანან. თითქმის ყველა მათგანზე პასუხია გაცემული. შეიძლება ბევრი საკითხი ვერ გადავწყვიტეთ (მოგეხსენებათ, ეს დღეს ძალზე ძნელია), მაგრამ უთბილსიტყვოდ და უყურადღებოდ არავინ დაგვიტოვებია.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ქვეყანაში არსებული მთელი სიძნელეები რაიონებში გამგებლის კისერზე გადადის. ეს მართლაც ასეა, კახეთის მაგალითზე კარგად ვიცი, რომ იქ არც სინათლეა, არც გაზი, არც პური და ასე შემდეგ. შემიძლია დაუსრულებლად ჩამოვთვალო, როგორი კარგიც უნდა იყოს გამგებელი, თუ თქვენი სამსახური არ დაეხმარა, ისე ვერაფერს გააწყობს. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ მარტო დანიშვნა არ გევალებათ, თქვენ უნდა დაეხმაროთ კიდეც.

— ჩვენი სამსახური ერთადერთი რგოლია, რომელიც იცავს გამგებელის ინტერესებს. არადა, დახმარება მათ ნამდვილად სჭირდებათ. რაც უფრო ნოვატორია დღეს გამგებელი და გაბედულად მიდის რეფორმებზე, მით უფრო უჭირს მას მუშაობა მასების ანტისაბაზრო ეკონომიკური ორიენტაციის გამო.

ამას ისიც ემატება, რომ დღეს ყვარყვარენიც უხვად მომრავლდნენ და პირველკაცობის ჟია ბევრს ღრღნის. ასეთები ყველაფერს აკეთებენ, რათა ობიექტური სიძნელეები გამგებლების წინააღმდეგ გამოიყენონ. მუშაობაში დავნერგეთ პრინციპი, გამგებლის მიმართ გამოთქმული შენიშვნები შევისწავლოთ კომისიური წესით (კომისიაში, როგორც წესი, შეგვყავს კონტროლის პალატისა და პროკურატურის წარმომადგენლები) და მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე მივიღოთ გადაწყვეტილება.

ასეთმა მიდგომამ ხელისუფლების სიმყარის მომენტი შექმნა, ეს კი აუცილებელია სახელმწიფოს

(დასასრული მე-2 გვ.)

თემურ ფიფია:

„ჯერ მხოლოდ ხნული გავავლეთ თვალუწვდენელ ტრამალზე"

(დასასრული)

ფუნქციონირებისთვის. შეიძლება არ დამეთანხმოთ, მაგრამ ვფიქრობ, გამსახურდიას ხელისუფლების ნგრევაში ლომის წილი ასეთი სიმყარის უქონლობამ შეასრულა. ვერ ვიტყვი, რომ ყველა გამგებელი მამა აბრამის ბატკანია, მაგრამ უმეტესობა კეთილსინდისიერად, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით ემსახურება საქმეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამგებლებს საკმაოდ დიდი უფლებები აქვთ. ჩვენ მათ დებულებით მივეცით უფლება შექმნან საკუთარი გუნდი — ახალ გამგებელს უფლება აქვს გაუშვას ძველი გამგეობა და მოიყვანოს ახალი, ვისთანაც მას აქვს მუშაობის სურვილი და ვისთან ერთად აგებს პასუხს საკუთარი ხალხის წინაშე. ამან გამგებლებს გაუადვილა მუშაობა, მაგრამ პასუხისმგებლობაც ძალზე გაუზარდა.

— როგორია ადგილებზე გამგებლისა და პოლიტიკური პარტიების ურთიერთობა?

— ჩვენ დებულებაში „ადგილობრივი მმართველობის შესახებ" შევიტანეთ მუხლი სათათბიროს შესახებ, რომელიც გამგებელთან ერთად ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენს. სათათბიროში რაიონში არსებულ ყველა რეგისტრირებულ პარტიას ჰყავს თავისი წარმომადგენელი. ბევრგან ეს სათათბიროები საკმაოდ კარგად მუშაობენ და პარტიებთან ურთიერთობის პრობლემაც მოგვარებულია. სადაც ასე არ მოხდა, სერიოზული სიძნელეები გვაქვს, რაც უშუალოდ გამგებლის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

— ამასთან დაკავშირებით, როგორ არის თქვენს სამსახურში პარტიებთან ურთიერთობა გადაწყვეტილი და თქვენ თუ ხართ რომელიმე პარტიის წევრი?

— მოგეხსენებათ, სახელმწიფო ერთია, პარტია — ბევრი. გასაგები უნდა იყოს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იქნება სახელმწიფო მოხელე, რომელიც განაგებს ისეთ საკითხებს, სადაც პარტიების ინტერესები ერთმანეთს ეჯახება. მე არ მიკვირს, რომ თითქმის ყველა წამყვანი პარტიის ლიდერი, თუმცა ბევრ მათგანთან ადრინდელი მეგობრობა მაკავშირებს, დღეს ჩემით უკმაყოფილოა. ჩვენთვის უპირველესი სახელმწიფოს ინტერესებია. სახელმწიფოს ინტერესების დაცვა სრულიად არ არის აბსტრაქტული და ზოგადი კატეგორია. როცა რამდენიმე კანდიდატიდან არჩევ საუკეთესოს, მხოლოდ მისი პროფესიონალიზმის, განვლილი ცხოვრების გზისა და ზნეობრივი თვისებების მიხედვით, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნის იგი, ვფიქრობ, რომ აქ სწორედ სახელმწიფოს ინტერესებია წინ წამოწეული.

აქ შეიძლება ვინმემ გამახსენოს, რომ მე ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე ვარ და ხშირად ვამტკიცებდი, რომ პოლიტიკა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების საქმეა, რომ უნდა დამთავრდეს პოლიტიკაზე საუბრის დაწყება სიტყვებით, „მართალია, მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ"... რომ უნდა დამთავრდეს დილეტანტიზმის ბოგინი პოლიტიკაში და ეს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების მეოხებით არის შესაძლებელი.

აქ არ არსებობს წინააღმდეგობა? ჯერ ერთი, ხელისუფლების სათავეში მოსულ პოლიტიკურ პარტიასაც მოუწევს სახელმწიფოს ინტერესების თავის პარტიულ ინტერესებზე მაღლა დაყენება (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ძალიან მალე დამარცხდება) და მეორე, სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბევრია ხარიზმატული მომენტი. პარტიებს შორის არსებული განსხვავება ხშირად მხოლოდ პიროვნულ ხასიათს ატარებს. თუმცა ამაზე სხვა დროს...

რაც შემეხება მე, რაც პოლიტიკური ცნობიერება ჩამომიყალიბდა, თავს ყოველთვის მემარჯვენე ცენტრისტად ვთვლიდი. ამ პოზიციაზე დღეს რამდენიმე წამყვანი პოლიტიკური პარტია დგას (ედპ, ტრადიციონალისტები, რესპუბლიკელები, მოქალაქეთა კავშირი), მომავალში, ვინ იცის, თუ პიროვნული ამბიციები დაიძლია, ეს პარტიები შეიძლება გაერთიანდნენ კიდეც, ოღონდ ამისთვის აუცილებელი იქნება სერიოზული მემარცხენე ძალების გამოჩენა.

— როგორ იმაღლებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები კვალიფიკაციას?

— სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯეროვნად არ არის გადაწყვეტილი. მართალია, ვიწვევთ გამგებელთა რესპუბლიკურ თათბირებს, სადაც ვცდილობთ მოწინავე გამოცდილების განზოგადებას (მაგალითად, განვიხილეთ ქალაქ ქუთაისში რეფორმების მიმდინარეობა და ამ მიმართულებით ქალაქის მერიის საქმიანობა), ასევე თათბირებზე ცენტრალური უწყებების წარმომადგენლებს ვთხოვთ გამგებლებს განუმარტონ ახალი დადგენილებები, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ. ოქტომბრის დამლევისთვის განზრახული გვაქვს მოვაწყოთ გამგებელთა ერთკვირიანი შეკრება თათბირ-სემინარის სახით, სადაც მათ მივაწვდით საჭირო ინფორმაციას. მაგრამ კვალიფიკაციის ამაღლების ახალი, ქმედითი სისტემის შექმნის აუცილებლობას ეს მაინც არ ხსნის.

— ერთ ხაროთირო კითხვას გვერდს ვერ ავუვლით. დღეს ბევრს ლაპარაკობენ სახელმწიფო სტრუქტურებში გამეფებულ კორუფციაზე. თქვენ განაგებთ საკადრო საკითხებს, თანაც რაიონებში პირველი ხელმძღვანელების დანიშვნის საკითხებს. ცხადია, პირველ რიგში თქვენ ვერ აცდებით ჭორებს და მითქმა-მოთქმას...

— მოულოდნელი და გასაკვირი სწორედ ის იქნებოდა, რომ ეს ჭორები არ ყოფილიყო. დღეს, საყოველთაო გაჭირვების ჟამს. ადამიანები ეჭვის თვალით უყურებენ ყველაფერს, წესიერება და ზნეობრიობა ლამისაა „თეთრ ყვავობად" გამხდარა. ზოგჯერ ისეთ რამეს ვიგებ ჩემს შესახებ, თმები ყალყზე მიდგება. ვერ ვიტყვი, რომ ყოველივე ამას მშვიდად ვხვდები. ძალზე მტკივნეულია, როცა ანგარიშს ლაჩრულად, ბინძური ცილისწამებით გისწორებენ. შეიძლება არცა ღირს ამის თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ვერავინ, თუ იგი მართალი იქნება ღმერთთან და საკუთარ თავთან, ვერ იტყვის, რომ **თემურ ფიფიას ანგარებით რაიმე გადაწყვეტილება მიეღებინოს.**

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა ხალისით იჯერებს ცუდს, ხოლო ზნეობრივი მოქმედების დაჯერება არ სურს.

ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა კარგად იციან, რომ ჩემი და ჩემი ოჯახის პირად ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ამის მიზეზი სულ მარტივია. მე ფილოსოფოსი ვარ, ხოლო ფილოსოფოსები ყველაზე მეტად თავისუფლებას აფასებენ. როცა ვინმესგან რაიმეთი დავალებული ხარ, თავისუფლება სწორედ იქ თავდება. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს თავისუფლებას ვერავის დავუთმობ. შეიძლება ზოგს ამ მიზეზმა ღიმილი მოჰგვაროს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვინც იცის თავისუფლებისა და პირადი ღირსების ფასი, ის აუცილებლად გამიგებს. მინდა დავიჯერო, რომ ასეთები ბევრნი იქნებიან. ახალი სახელმწიფოს აშენებას აუცილებლად სჭირდება გარკვეული ფანატიზმი. სურამის ციხე სახელმწიფოს სიმბოლოა, რომელსაც უმსხვერპლოდ ვერ ავაშენებთ. სახელმწიფოს გარეშე კი ყველას წყალში ჩაეყრება ის სიმდიდრე, რომელიც სხვადასხვა გზებით აქვს მოპოვებული.

ჩვენ გვაქვს სამშობლო, მაგრამ არა გვაქვს სახელმწიფო. უსახელმწიფოდ არსებობა კი სამშობლოსაც დაგვაკარგვინებს. არ არსებობს დღეს იმაზე დიდი ამოცანა, ვიდრე ახალი ქართული სახელმწიფოს აშენებაა. ამას კი ფანატიკოსები და ზნეობრივი გმირები სჭირდება. მჯამს, რომ ასეთები არსებობენ დღევანდელ საქართველოში.

● ჩვენ გვაქვს სამშობლო, მაგრამ არა გვაქვს სახელმწიფო, უსახელმწიფოებრიობა კი სამშობლოსაც დაგვაკარგვინებს.

ამასთან, გულწრფელი არ ვიქნები, თუ არ ვიტყვი, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობისას სამი უზარმაზარი კაპიტალი დავაგროვე.

ადამიანები, რომლებიც გავიცანი საქართველოს თითქმის ყველა რაიონში და რომელთაც დავუმეგობრდი;

ინფორმაციები, რომელიც დავაგროვე რეგიონებსა და სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ;

გამოცდილება, რომელიც შევიძინე სახელმწიფოს მეთაურთან მუშაობის შედეგად.

არა მგონია, ამ კაპიტალს რამე შეედაროს.

— რას გვეტყვით გაზეთ „სარანგში" გამოქვეყნებულ წერილზე?

— მერაბ კოსტავას საზოგადოების **მესვეურები** (მე ხაზს ვუსვამ მესვეურებს, ვინაიდან ამ საზოგადოებაში ბევრია ქვეყნისთვის გულშემატკივარი ადამიანი) იმდენად დააბრმავა სახელმწიფოს მეთაურის სიძულვილმა და ძალაუფლების დაკარგვამ, რომ ხშირად ლოგიკური აზროვნების უნარს მოკლებულნი ელემენტარულ კაცურ ღირსებასაც კარგავენ.

თავიანთ გაზეთში გამოაქვეყნეს ოფიციალურ ბლანკზე დაბეჭდილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარკვეული თანხის კომისიური წესით მიღება-ჩაბარების აქტს, შეეცადნენ საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ ეს არის ქრთამი და ატეხეს ერთი ამბავი. ხედავთ რა ხდება სახელმწიფოს მეთაურის აპარატში? როგორც ჩანს, ვიღაც ჰკვიანმა აუხსნა მათ (ან შეიძლება იგრძნეს უსაფუძვლო ცილისწამებაზე პასუხისმგებლობის საშიშროება), რომ არ შეიძლება ვინმე ქრთამს იღებდეს და ამაზე ოფიციალურ დოკუმენტს ქმნიდეს, რომ არ შეიძლება ქრთამის ამღები შვეულმფრენით ჩაფრინდეს გურჯაანის სტადიონზე და უამრავი ხალხის, მათ შორის პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლების თანდასწრებით ჩაიბაროს ეს თანხა.

ამის შემდეგ მათ შეცვალეს ბრალდება და დღეს ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ჩვენ ბოროტად გამოვიყენეთ ჩვენი თანამდებობა საქმის არსი კი შემდეგში გახლდათ: ყველას კარგად გვახსოვს რომ 1993 წლის ივლისის პირველ რიცხვებში, ოჩამჩირის რაიონში მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი დესანტის გადმოსხმის შედეგად აფხაზეთის რეგიონში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. იმ დღეებში მთელი საქართველო გაერთიანდა სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მოსახლეობაში სტიქიურად დაიწყო ფრონტისათვის სურსათის, იარაღისა და ფულის შეგროვება. ამასთან დაკავშირებით გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს № 282 დადგენილება, რომლის თანახმადაც რაიონებისა და ქალაქების გამგეობებს დაევალათ აფხაზეთის რეგიონში მოქმედი საჯარისო ფორმირებების, პირადი შემადგენლობისა და მთლიანად მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით, მედიკამენტებითა და სხვა მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფა. ამის საფუძველზე სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახური, პრობლემის სიმწვავის გათვალისწინებით და საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, სათავეში ჩაუდგა მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებში დადგენილების შესრულებას და მოაგვარა შეგროვილი თანხისა და სხვა მატერიალური ფასეულობების ცენტრალიზებული წესით თავმოყრა, რაც მიზნობრივად იხარჯებოდა დადგენილების მე-7 პუნქტის თანახმად, სამხედრო-ანალიტიკური განყოფილების კონტროლით.

● დღეს იმაზე დიდი ამოცანა არ არსებობს, ვიდრე ახალი ქართული სახელმწიფოს აშენებაა, სახელმწიფოს აშენებას კი ფანატიკოსობა და ზნეობრივი გმირობა სჭირდება. მჯამს, რომ დღესაც ბევრი ასეთი ადამიანია საქართველოში.

კარგად ვიცნობდით რა მერაბ კოსტავას საზოგადოების ზოგიერთი მესვეურის ზნეობრივ სახეს, წინასწარ ვიცოდით, რომ ისინი ეჭვს შეიტანდნენ მხოლოდ პროკურატურის მიერ ამ საკითხის გამოკვლევის შედეგებში. ამიტომ ოფიციალური წერილით მივმართეთ სახელმწიფოს მეთაურს, რათა შექმნილიყო სხვადასხვა უწყებებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც შეისწავლიდა ამ საკითხს. სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა კომისია, რომლის წევრები იყვნენ რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე, გენერალური პროკურორის მოადგილე და პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის წარმომადგენელი.

კომისიამ მოწვეული ექსპერტების დახმარებით დაადგინა, რომ სამსახურის მიერ მიღებული და გაცემული სახსრები ემთხვევა ერთმანეთს და ამიტომ არ არსებობს არავითარი საფუძველი ეჭვისა, რომ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომლები მოქმედებენ ანგარებით და გაზეთ „სარანგის" მიერ ჩვენდამი წაყენებული მძიმე ბრალდება უსაფუძვლოა და სინამდვილეს არ შეესაბამება.

ამ კომისიის დასკვნის შემდეგ განცხადებით მივმართეთ რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს განეხილათ გაზეთ „სარანგში" ჩვენდამი წაყენებული მძიმე ბრალდება და თუ იგი არ დადასტურდება, აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე გაზეთ „სარანგის" მიმართ, ამჟამად რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს ამ საქმეს და დაველოდოთ მის შედეგებს. ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს, ეს საქმე თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანო.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგად ვიცი მერაბ კოსტავას საზოგადოების მესვეურთა ჩემს წინააღმდეგ მოქმედების მოტივები, მაგრამ მათზე დღეს საუბარი გალმა შედავებად ჩამეთვლება, რაც სრულიად არ მჭირდება. მათი მოქმედების ფარულ მოტივებზე საუბარი კი (მის შემდეგ, როცა სასამართლო პროცესი დამთავრდება) აუცილებელი იქნება, რადგან იგი გარკვეული საზოგადოებრივი ქცერადობის შემცველია.

— საუბარი გაგვიგრძელდა, მაგრამ ერთ კითხვაზე რომ არ მიპასუხოთ, ჩვენი ინტერვიუ აუცილებლად ბევრს დაკარგავდა, გავიგე, რომ სამეცნიერო ჯგუფთან ერთად, რომელსაც თქვენ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობთ, თარგმნეთ და გამოსაცემად მოამზადეთ მაქს ვებერის ცნობილი ნაშრომი „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და რეალობა". რითი მიიქცია ამ ნაშრომმა თქვენი ყურადღება?

— მაქს ვებერმა ეს ნაშრომი 1918 წელს დაწერა და ასახა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება. ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება ბევრ რამეში იმდროინდელი ვითარების მსგავსია. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს ნაშრომი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი გასაღებია. აქ მხოლოდ ორ მომენტს გამოვყოფ: პირველი ამ თხზულების წაკითხვის შემდეგ, რაც თვალში გვეცემა, ის არის, რომ სპეციფიკურმა ისტორიულმა პირობებმა და ჩვენმა ხასიათმაც შედეგად ის მოიტანა, რომ ჩვენში ყველა ან თითქმის ყველა თავს მოწოდებით პოლიტიკოსად თვლის. მაგრამ არავინ, ან თითქმის არავინ არის ხელობით პოლიტიკოსი, ე. ი. „პროფესიონალი პოლიტიკოსი", **ხოლო იმ ხალხის არარსებობა, რომელთათვის პოლიტიკა ერთდროულად მოწოდებაც არის და ხელობაც, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე არსებითი ნაკლი, გნებავთ, მისი ტრაგიზმია.**

ჩვენი პოლიტიკურ-სამეურნეო ცხოვრების ასევე არსობრივი წინააღმდეგობაა დაპირისპირება ე. წ. „დარგის" მწეებსა და პოლიტიკურ მოხელეებს შორის. ეს ის ვითარებაა, როცა ერთ დროს არალეგალური, ახლა კი პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოსული პარტიის რომელიმე სტაჟიან მოხელეს პრეტენზია აქვს სახალხო მეურნეობის ესა თუ ის დარგი მართოს, ანდა პირიქით, როცა ძველი სისტემის სტაჟიან სამეურნეო მუშაკს, რაკი მისი მოდერნიზებული პარტია ხელისუფლების სათავეში მოსულა, ებადება ამბიცია, რომ წამყვანი ადგილი დაიჭიროს ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. ეს წინააღმდეგობანი ჩანასახში მყოფი სახელმწიფოებრიობის დამანგრეველ ძალას შეიცავენ და ამიტომ აუცილებელია მათი გაცნობიერება.

ყოველივე ამის გაცნობიერებაში, ჩემი აზრით, ქართველ მკითხველს დაეხმარება ჩვენს მიერ გამოცემული, მაქს ვებერის ეს თხზულება.

• • •

ვფიქრობ, არც ერთ ჩვენგანს არა აქვს უფლება პილატესავით მშვიდად დაიბანოს ხელი იმის იმედით, რომ ამ საქმეს სხვა გაუძღვება, სხვა მოუვლის, სხვა გასწვდება.

ერთი უდავოა, რომ ურთულეს და პასუხსაგებ სარბიელზე, რასაც სახელმწიფოს მართვა ჰქვია, დაშვებული უნდა იქნეს ჩვენი საზოგადოების ყველაზე სანდო და საიმედო, სულიერად მდიდარი, ამავე დროს მტკიცე ნებისყოფის, პრინციპული, უშიშარი და უანგარო პიროვნებები.

ჩვენ კი ჩვენს აზრებსა და ზრახვებს მომავლის მაღალ მოთხოვნილებათა მასშტაბით უნდა ვზომავდეთ.

ასეთია დროის [illegible]

ესაუბრა
მარადი ანასაშვილი.

კომენტარი

ბიზნესმენობას სწავლობენ

რუსთაველი მეტალურგ
ქიმიკოსები, მანქანათმშენებლ
რომლებსაც შექმნილი აქვთ ს
როვილოს ფარგლებს გარეთ
თქმული პროდუქციის წარმო
მრავალი წლის [გამოცდილ
სწავლობენ, ახლა ფაქტობრ
საერთაშორისო კონტაქტების,
გარიგებების პირველ გაკვე
ლებს იღებენ და თვითონ გ
მსოფლიო ბაზარზე. ავსტრი
და გერმანიაში, მაგალითად,
მეტალურგიული ქარხნის სპეც
ლისტთა ჯგუფი, რომელსაც ს
დირექტორი გურამ ქაშაკაშვ
მეთაურობდა. მიღწეულია შ
ხმება მთლიანგლინული, [ნაკე
ბის სორტამენტის, ფოლადის
ლების ერთობლივი წარმო
შესახებ.

რუსთაველმა ქიმიკოსებმა
გვარეს ურთიერთობა კალი
ნიის, ჰოლანდიის, ეგვიპტის,
ქვეყნების მონათესავე საწარ
ბთანაც. სოფლის მშრომელებ
სულ უფრო ხშირად უგზავნ
ახალ, მათთან ერთად აითვის
ლი სახეობის პროდუქციის.
დუქციის რეალიზაციის შე
მიღებულ ფულს საწარმო
ნებს არა მარტო ახალი მოწყ
ლობის შესაძენად, არამედ ფ
ნავსადგურის იმ ნაწილის რ
სტრუქციისათვისაც, საიდანაც
ზღვარგარეთ იგზავნება მათი
მოშვებული პროდუქცია.

რუსთავის ამწესაშენებელი
ხნის მარკიან კოშკურამწეებს
ხვდებით კუბის, იემენის, ვიე
მის, ირანის, სომალის, მსოფლ
სხვა ქვეყნების ახალ მშენებ
ბებზე.

ქალაქში წარმოებულმა სტა
ტიკურმა კვლევამ ცხადყო,
სამეურნეო ანგარიშზე გად
საწარმოთა დირექტორების
ვლესობა განათლებით ინჟინ
არიან. ეკონომიკაში, ორგან
ციის თეორიაში (არის ასეთი
ნიერებაც), კომერციაში
სპეციალურად არ განსწავლ

საბაზრო ურთიერთობაზე
ვლის პირობებში საქმის
მიკურად, წიგნიერად გაძ
საფუძვლების შესწავლის
ლებლობას ახლა მათ აძლევ
ზნესის, მენეჯმენტის სკოლ
რომლებიც შექმნილია ქალაქ
და ცალკეულ საწარმოებ
1000-ზე მეტი მსმენელი
დადის კურსებზე და ისმენს
ქციებს თემაზე „სამრეწველო
რკეტინგი", „ნომენკლატურა
მთგება", „სტიმულირების
დები" და სხვა. შექმნილია
ნსულტაციო ცენტრი, რომე
აქვს ნორმატიული რეგული
ზა, რომელიც უზრუნველ
საწარმოთა ფინანსური დამ
დებლობის თანამიმდევრულ
ლიზაციას. ბიზნესის შესწა
სკოლებისა და კურსების მ
ლებლები წარმოადგენენ მე
ობრობის ახალ მეთოდზე გ
ვლის სამუშაო ჯგუფის ბირ

გრძელი დებატების და ნაჩქარევი კანონების გამო

ამ წერილის ავტორი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს სამშენებლო ორგანიზაციებს. მასაც და მისნაირ სხვა ადამიანებსაც მმართველობის კომუნისტური რეჟიმის დროს დაცინვით "საქმოსნებს", "ცეხავიკებს" ეძახდნენ და დევნიდნენ. იგი არის ადამიანი, ვინც იძულებული იყო თავის დროზე ყველა ზურგში გამძვრალიყო, კანონის ყველა ხარვეზი გამოეყენებინა, ბეწვის ხიდზე სიარულის ხელოვნება ესწავლა. იგი ტიპიური წარმომადგენელია იმ ეკონომიკისა, რომელსაც უკანასკნელ წლებში "ჩრდილოვანი" დაერქვა, და რომლის "ჩრდილიდან გამოსაყვანად" ბევრი რამ კეთდება.

ჯუმბერ ნიკურაძე დღეს ერთი იმ ბიზნესმენთაგანია, ვისაც სურს საკუთარი ცოდნა, გამოცდილება, გავლენა, ფინანსები საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას მოახმაროს.

შეიცვალა სახელმწიფო წყობილება, ფეხს იკიდებს საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი კანონები. არ იცვლება მხოლოდ საზოგადოების ერთი, ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი და გავლენიანი ნაწილის დამოკიდებულება ბიზნესისა და ბიზნესმენებისადმი. მას კვლავინდებურად "ჩრდილში" ყოფნა და სხვის ხარჯზე ცხოვრება ურჩევნია.

ამაზე წერს ჯუმბერ ნიკურაძე.

შარშან, იანვარში სამტრედიის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ ჩაატარა სამტრედიის საპროექტო-სამშენებლო კოოპერატივ „იანეთის" (რომლის თავმჯდომარეც მე გახლდით) 1991-92 სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია. რევიზიის აქტი კოოპერატივს წარმოუდგინეს ოთხი თვის შემდეგ, 1993 წლის 27 მაისს(!). მასზე ხელს აწერდნენ საგადასახადო ინსპექციის უფროსი ბატონი შალვა ნადირაძე და საწარმოთა დაბეგვრის განყოფილების მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ბატონი ვაჟა თავაძე.

აქტის მიხედვით, კოოპერატივს სხვადასხვა ფინანსური დარღვევის გამო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით 44.438.535 მანეთის გადახდა ეკისრებოდა.

ამ აბსურდულ გადაწყვეტილებას ნამდვილად ვერ დავეთანხმებოდით და საგადასახადო ინსპექციის უფროსს წერილობითი ახსნა-განმარტება ვაახლეთ აქტში მოყვანილი სადაო საკითხების დეტალური ანალიზით.

ჩვენი ახსნა-განმარტება ინსპექციამ ყურადღების ღირსად არ სცნო. სამაგიეროდ, უყოყმანოდ დაადო ყადაღა ჩვენს საანგარიშსწორებო ანგარიშს „კავკასიის ბანკის" სამტრედიის ფილიალში.

ვინაიდან ჩვენი ახსნა-განმარტება ადგილობრივმა ინსპექციამ ყურად არ იღო, დადგენილი წესისამებრ მივმართეთ რესპუბლიკურ დეპარტამენტს, რომელმაც ცოტაოდენი შესწორებით ადგილობრივი ინსპექციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, რის შემდეგაც იძულებული შევიქმნეით მიგვემართა სამტრედიის პროკურორ დ. იმნაიშვილისათვის, რათა ჩვენს საქმეზე საკანონმდებლო ზედამხედველობა დაეწესებინა. პროკურატურის მოწვევით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრის ექსპერტებმა რევიზიის აქტი გადასინჯეს და ჩვენი პრეტენზიების აბსოლუტური უმრავლესობის სამართლიანობა დაადასტურეს. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ კოოპერატივ „იანეთს" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა არა 44,5 მილიონი, არამედ 4.666.621 მანეთი(!).

პროკურატურამ ამის შესახებ აცნობა სამტრედიის საგადასახადო ინსპექციასაც, ბანკსაც და შესაბამისი ღონისძიებების გატარება თხოვა.

ინსპექციამ (შ. ნადირაძე) პროკურატურის მოთხოვნათა შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადა!

მივმართეთ რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს. 1994 წლის 14 აპრილს მან იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დაადგინა, რომ კოოპერატივ „იანეთს" სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაბრუნებოდა 39.821.814 კუპონი.

ახლა ამ გადაწყვეტილებით გულმიცემულებმა მივაკითხეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე საგადასახადო ინსპექციას. ნურას უკაცრავად! — ბატონმა ნადირაძემ წერილობით გვაცნობა, რომ იგი არ ცნობს უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს და მის გადაწყვეტილებებს!

მთლად ასე რომ არ იყო და ბატონი ნადირაძე თავისი „სიმამაცით" ცოტას კადლუცობდა, მალე გამოჩნდა — მას მაინც ამ სასამართლოში მოუწია საკასაციო განცხადების შეტანა. უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიამ ხელახლა განიხილა საკითხი; ხელახლა ჩატარდა ექსპერტიზა. 1994 წლის 15 ივლისს სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ სამტრედიის საგადასახადო ინსპექციის შემოწმების აქტი კოოპერატივ „იანეთის" მიმართ იყო მცდარი; რომ მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაბრუნებოდა 39,8 მილიონი კუპონი.

საგადასახადო ინსპექციამ კიდევ ერთ თვეს გააჭიანურა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

ამ სტრიქონების წამკითხველი ზოგი ადამიანი იფიქრებს, ამ მამაცხონებულ კოოპერატორებს მიეფურთხებინათ ეშმაკისთვის და გადაეხადათ ის ორმოციოდე მილიონი კუპონიო?!

მართალი ბრძანდებით. ის ბრძოლა და დავიდარაბა, საქმის გაჭიანურება, საბანკო ანგარიშების გაყინვა, სასამართლოებში სირბილი და მოცდენა მართლაც განუზომლად ძვირი დაჯდა. უბრალოდ, ჩვენ არ გვინდოდა დაგვეშვა გაუგონარი უსამართლობის პრეცედენტი. უფრო ზუსტად, გვინდოდა მოგვესინჯა, ბოლოსდაბოლოს, გაიმარჯვებდა თუ არა სიმართლე. გვინდოდა დაგვერწმუნებინა ჩვენი ოპონენტები, მთლიანად საზოგადოება, რომ ძველი დრო სამუდამოდ წავიდა. მასთან ერთად წარსულს ჩაბარდა ძველი ურთიერთობებიც: წარმოებიდან მოგების თავისი წილი მხოლოდ მან შეიძლება მიიღოს, ვინც რაიმე სახით მონაწილეობს პროდუქციის შექმნაში!

არ დავიწყებ მსჯელობას საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური სიტუაციის შესახებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქვეყნის ეკონომიკის ხსნა (ანუ ქვეყნის გადარჩენა) მხოლოდ მეწარმეს შეუძლია. სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს, ვალდებული უნდა იყოს ჯერ შექმნას მეწარმეთა კლასი, მერე კი მოღვაწეობის რაც შეიძლება უკეთესი პირობები შეუქმნას მას.

სამწუხაროდ, მეწარმეობის განვითარებას საქართველოში ბევრი რამ უშლის ხელს — ბიუროკრატიული ბარიერები, არასტაბილური პოლიტიკური და კრიმინოგენული სიტუაცია, სახელმწიფო მოხელეთა ერთი ნაწილის დაბალი პროფესიონალიზმი და ზღვარგადასული ანგარება...

მაგრამ მაინც, თავიდათავი ჩვენი უბედურებისა, ჩემი აზრით, არის დაბალი სამართლებრივი კულტურა და, საერთოდ, კანონმდებლობის დეფიციტი.

მოდით, საილუსტრაციოდ, განვიხილოთ რამდენიმე მუხლი გადასახადების კანონთა კრებულიდან (კანონი საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ, თავი IV, მუხლი მე-16).

„სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მუშაკთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისას, რაც შეიძლება გამოიხატოს გადამხდელთა მიერ მოგების (შემოსავლის) და დაბეგვრის სხვა ობიექტების დამალვის ან შემცირების ფაქტების შემოწმების აქტში შეუტანლობით, მასთან დაკავშირებული შედეგებით, ინსპექციის თანამდებობის პირებს ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით".

ხედავთ? ინსპექციის მუშაკმა ბოროტად გამოიყენა თანამდებობა, შემოწმებისას აღმოაჩინა დარღვევები, მაგრამ აქტში არ შეიტანა, შესაბამისად არც ფინანსური სანქციები გაატარა. ამოუღებელი დარჩა გადამალული მოგება, შესაბამისი ჯარიმები, საურავები. კანონმა ერთი ამბავი ატეხა: რას ჰქვია ბიუჯეტს (ე. ი. სახელმწიფოს) შემოსავალი დაუკარგეო და „საწყალ" ინსპექტორს მგონი ციხეში უკრა თავი, ყოველ შემთხვევაში, კანონი ასე იმუქრება. მოდი და ამის მერე სახელმწიფო ინსპექტორმა სახელმწიფოს საზიანოდ დაამალოს რამე!

ახლა „შიშით აკანკალებულმა" ინსპექტორებმა მე-17 მუხლიც წაიკითხეს, წაიკითხეს და შვებით ამოისუნთქეს: „სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების მიერ არასწორად გადახდევინებული გადასახადებისა და სავალდებულო გადასახდების თანხები ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციები და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედებით გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის, ხელიდან გაშვებული სარგებელი) ანაზღაურდება დადგენილი წესით, ხოლო საგადასახადო ინსპექციის თანამდებობის პირს დაეკისრება ადმინისტრაციული სასჯელი კანონმდებლობით დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმალური თანხის ხუთმაგი ოდენობით".

დიახ, ზუსტად ასე განსაჯა კანონმდებელმა: თუ სახელმწიფო ბიუჯეტი ზარალდება, საგადასახადო ინსპექციის დამნაშავე თანამშრომელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება. იგივე დანაშაულისათვის, იმავე დამნაშავეს „შრომის ანაზღაურების მინიმალური თანხის ხუთმაგი ოდენობით" დააჯარიმებენ, თუ კი იგი დანაშაულს უბრალო მოქალაქის, გადასახადის გადამხდელის მიმართ ჩაიდენს!

ანუ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას კანონით ენიჭება უზარმაზარი უფლებები და... საერთოდ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. თუ არ ჩავთვლით იმ „ხუთმაგს", რაც დღეისათვის დაახლოებით ხუთ დოლარსაც არ შეადგენს. უბრალოდ, ისიც გაუგებარია, რატომ არის კანონში გათვალისწინებული სხვადასხვაგვარი სასჯელი ერთიდაიგივე დანაშაულისათვის?!

ახლა ამავე კანონის VI თავის 26-ე მუხლსაც ვნახოთ: „სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკთა დაინტერესების მიზნით იქმნება სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკთა სტიმულირების ფონდი, შემოწმების შედეგად ფინანსური სანქციებისა და ჯარიმების სახით ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში ჩარიცხული თანხების 30 პროცენტის ოდენობით".

ადრე, კომუნისტების ზეობისას, ყველა მაკონტროლებელი ორგანო ჩვენი, გადასახადის გადამხდელების შესანახი იყო. ახლა ისე წინ წავსულვართ, რომ რითაც ჩვენი უსაქციელობის გამო დავისჯებით, ინსპექციას მხოლოდ იმის 30 პროცენტს აკმარებენ.

მშვენიერია, მაგრამ სად არის გარანტია, რომ ნებისმიერი მაკონტროლებელი ნებისმიერ „კლიენტს" 30 პროცენტის ხიბლით ისე არ მოეპყრობა, როგორც ზემოთხსენებული ნადირაძე კოოპერატივ „იანეთს"? იქნებ ვინმეს [illegible] „ხუთდოლარიანი ბარიერი" დაჩრდილავს 30 პროცენტის [illegible]

დავუბრუნდეთ მე-17 მუხლს, სადაც აღნიშნულია: „რომ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედებით გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი) ანაზღაურდება დადგენილი წესით". [illegible] დავიმადლებთ, თუ საგადასახადო დეპარტამენტი გაიანგარიშებს ჩვენს მიერ ერთი წლის განმავლობაში „ხელიდან გაშვებულ სარგებელს და აუნაზღაურებს დადგენილი წესით", რომლის გაანგარიშება საქართველოში არავისთვის ცნობილი არ არის.

ხსენებული კანონის შემდეგი, მესამე პუნქტის მიხედვით, „მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვის ან შემცირებისათვის გადასახადისა და ჯარიმების თანხები, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის გათვალისწინებული ფინანსური სანქციები ბიუჯეტში შეიტანება გადამხდელის განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან (შემოსავლიდან)". ეს პუნქტი იმიტომ არ მომიტანია, რომ მასში გაუგებარი იყოს რაიმე. პირიქით, იგი მგონი ერთადერთია კანონში, სადაც ყველაფერი ძალზე ნათელია — ჯარიმა გადაიხდევინება დარჩენილი, ე. ი. ფაქტიურად იმ მომენტისათვის გადამხდელის ხელთ არსებული მოგებიდან. გაუგებარი ის არის, რომ ეს პუნქტი, ეტყობა, არასწორად ესმით თვით კანონის აღმასრულებლებს. ყოველ შემთხვევაში, კოოპერატივ „იანეთთან" დაკავშირებით ასე იყო — იმ მომენტისათვის, როცა ჩვენ რევიზორმა 44 მილიონი მანეთის გადახდა დაგვაკისრა, კოოპერატივის მოგება 25 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა (მათივე გაანგარიშებით).

სანქციის აბსურდულობის შესახებ კამათით რომ ვერაფერი შევასმინეთ რევიზორს და მის ადგილობრივ შეფებს, წერილობითი შეკითხვით მივმართეთ რესპუბლიკის საგადასახადო დეპარტამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს ბატონ თემურ დვალს, რომელმაც გვიპასუხა: „საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის 1992 წლის 9 ივლისის №3 ინსტრუქციის შესაბამისად „დამალული (შემცირებული) მოგების თანხები და მასთან დაკავშირებული სანქციები ბიუჯეტში შეიტანება გადამხდელის განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან." თ. დვალის განმარტებით, „ამისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, შემოწმების მომენტისათვის გადამხდელის განკარგულებაში დარჩენილი მოგება აღემატება თუ არა დარიცხულ თანხას" (წერილის №02-136 18.08.93).

სად არის ლოგიკა, — რაც არ გამაჩნია, როგორ უნდა გავცე?! ბატონი დვალი იქნებ მომავალი მოგებიდან გადახდას გულისხმობდა? მაშინ პირდაპირ ეთქვა. პასუხი კანონიერი თუ არა, ლოგიკური მაინც იქნებოდა. მაგრამ ინსტრუქცია, რომლის შედგენაში, ალბათ, თვითონაც მონაწილეობდა, ამას არ ითვალისწინებს. რომ ითვალისწინებდეს, კანონში ჩაწერილი ტექსტი ასე უნდა მთავრდებოდეს: „დაკისრებული ჯარიმის გადასახდელი თანხების უკმარისობის შემთხვევაში, მომავალი მოგების ხარჯზე..."

ამავე წერილით ბატონი დვალი მეორე შეკითხვასაც პასუხობს, რომლის არსშიც უკეთ რომ გავერკვეთ, „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის და ბიუჯეტში გადახდის წესის შესახებ" 1994 წლის 31 იანვრის №1 ინსტრუქციის მე-3 თავის მე-14 მუხლი მოვიშველიოთ:

„დასაბეგრი მოგების გაანგარიშების დროს საბალანსო მოგება მცირდება სარეზერვო და ანალოგიური დანიშნულების ფონდებში ანარიცხების თანხით, რომელთათვისაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასეთი ფონდების შექმნა, მაგრამ არა უმეტეს ფაქტიურად შევსებული საწესდებო ფონდის 25 პროცენტისა და საბალანსო მოგების 50 პროცენტისა".

რაკი ინსტრუქციების მორევში აღმოვჩნდით, ბარემ V თავის 21-ე მუ[illegible] ვნახოთ: „საწარმოებში, რომლებმაც წლიური საბუღალტრო ანგარიშის [illegible] ვით გასულ წელს მიიღეს ზარალი, გადასახადისაგან თავისუფლდება მოგების ის ნაწილი, რომელიც მიმართულია მის დასაფარავად შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში (იმ პირობით, თუ ამ მიზნებისათვის სრულად არის გამოყენებული სარეზერვო და სხვა ანალოგიური დანიშნულების ფონდები, რომელთა შექმნაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით)".

სწორედ ამ ინსტრუქციიდან გამომდინარე და მისგან გულმოცემული ვეკითხებოდით ბატონ დვალს, ჰქონდა თუ არა უფლება კოოპერატივ „იანეთს" შექმნა სარეზერვო ფონდი და დასაბეგრი მოგების გაანგარიშების დროს საბალანსო მოგება შეემცირებინა ამ ფონდში ანარიცხების თანხების ოდენობი დეპარტამენტის თავმჯდომარემ გვიპასუხა: „საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის 1992 წლის 9 ივლისის №3 ინსტრუქციის შესაბამისად დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას საბალანსო მოგება მცირდება კომერციული ბანკების, ერთობლივი საწარმოების, აგრეთვე იმ საწარმოების სარეზერვო ან ანალოგიური დანიშნულების ფონდებში ანარიცხების თანხით, რომლებისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასეთი ფონდების შექმნა. აქედან გამომდინარე, სარეზერვო ფონდში ჩარიცხული თანხით საბალანსო მოგების შემცირების უფლება კოოპერატივ „იანეთს" არ გააჩნია".

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში ჩვენ ვერსად ვნახეთ, რომ კოოპერატივებს ასეთი ფონდების შექმნის უფლება არ გააჩნია, რაც საგადასახადო დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, ბატონი თ. დვალისაგან განსხვავებით, რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლომაც დაგვიდასტურა.

ორიოდე სიტყვა კანონმდებლობის იმ პოსტულატების შესახებ, რომელთა ფორმულირება, რბილად რომ ვთქვათ, ბუნდოვანია და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისას ხშირად გაუგებრობის საგანი ხდება.

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" კანონის პირველი თავის მე-11 მუხლის 2ა პარაგრაფი გვამცნობს, რომ „დამალულად ან შემცირებულად ითვლება გადასახადით დასაბეგრი ის ობიექტი, რომელიც ასახული არ არის სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში წარდგენილ საბუღალტრო ბალანსში, გაანგარიშებებში და დეკლარაციებში, აგრეთვე საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვის უქონლობა და მიღებული ამონაგების (შემოსავლების) ხარჯისა და დასაბეგრი ობიექტების ღირებულების მოცულობის საბუღალტრო დოკუმენტებში არასწორად აღრიცხვა, რის შედეგად ბიუჯეტში არ ირიცხება გადასახადები და გადასახდელები სრული ოდენობით".

დამეთანხმეთ, რომ ეს ორმოცდაათსიტყვიანი წინადადება სტილისტიკური თვალსაზრისით მთლად გამართულად არ გამოიყურება, არც შინაარსობრივად არის იოლი აღსაქმელი, რაც მექრთამეს საშუალებას აძლევს ქოთანს ყური იქიდან მიაბას, საიდანაც უნდა.

მიმაჩნია, რომ შემოსავალი, რომელიც ორგანიზაციის საბუღალტრო დოკუმენტებში აღრიცხული არის, მაგრამ შეცდომით ან უცოდინარობის გამო გატარებულია არასწორად, ესე იგი არა იმ ანგარიშზე, რომელზედაც ფაქტიურად უნდა ყოფილიყო გატარებული, პირველივე შემთხვევაში არ უნდა მიეკუთვნოს დამალულ (შემცირებულ) მოგებას და მასზე არ უნდა გავრცელდეს ფინანსური სანქცია. შეცდომა შემოწმების დროს უნდა გასწორდეს და შემოსავალი გადაყვანილი იქნეს დასაბეგრ მოგებაში. იგივე დარღვევის განმეორების შემთხვევაში, სანქცია გატარდეს გაორმაგებული სიმკაცრით. მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 7 მარტის დადგენილებით მიიღო „დროებითი დებულება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ". ამ დებულების II თავის მე-[illegible] მუხლში ლაპარაკი იყო მოქალაქეთა მიერ აქციებიდან დივიდენდების სახით მიღებული თანხის და საწარმოს მოგების (შემოსავლის) განაწილების შედეგად მიღებული შემოსავლების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე. ახალ კანონმდებლობაში ასეთი მუხლი საერთოდ არ არსებობს. ვინმე ხომ ვერ ამიხსნის, რას ნიშნავდეს ეს?

მსგავსი შეუსაბამობების, ხელოვნური გართულებების და ნონსენსების პოვნა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ალბათ, ნათქვამიც საკმარისია იმისათვის, რათა ზედაპირული წარმოდგენა მაინც შევიქმნათ კანონთა პაკეტის შესახებ, რომლის განხილვაზეც ჩვენს პარლამენტს, სხვათა შორის, დიდი დრო დაუხარჯავს. არადა, რამდენჯერ გვინახავს, რაღაც არაარსებითზე ისეთი დებატები გაუმართავთ დეპუტატებს, რომ ლამის მუშტიკრივზე გადასულან. აქ შესაშური ერთსულოვნება გამოიჩინეს. ალბათ იმიტომ, რომ საქმე „ვიღაც გადასახადის გადამხდელებს" ეხებოდა და მათი ინტერესები, აბა, რა ანგარიშგასაწევია (ეს ჩვენთან, თორემ ყველა მოწესრიგებულ საზოგადოებაში ცნება „გადასახადის გადამხდელი" პატივისცემის გრძნობის აღმძვრელია. გადასახადის გადამხდელი სახელმწიფოს ეკონომიკის საძირკველია. მის აზრს საზოგადოება და თვითუმაღლესი ხელისუფლებაც უდიდეს ანგარიშს უწევს და ...გარკვეულ დითაც ეკიდება).

ერთ საგაზეთო სტატიაში, ბუნებრივია, საგადასახადო სისტემის ყველა კანონის განხილვა შეუძლებელია. კარგი იქნება, თუ პარლამენტი ერთხელ კიდევ დაუბრუნდება ამ კანონებს და ერთხელ კიდევ უფრო გულდასმით განიხილავს მათ.

იქნებ მკითხველმა იფიქროს, ამ წერილის ავტორს, ეტყობა, კანონები საერთოდ, არ უნდაო. არა, ბატონებო — მე უკანონობა არ მინდა, უსამართლო კანონი არ მინდა. მიმაჩნია, რომ კანონი ერთნაირად მკაცრი უნდა იყოს ყველასათვის, — ვინც მას ქმნის და ვისთვისაც ქმნის. ამას, უბრალოდ, ადამიანობაც მოითხოვს. არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ არაფერია მზის ქვეშ მუდმივი. მათ შორის, — არც დეპუტატის სავარძელი. ასე რომ, ბატონო კანონმდებლებო, ასჯერ გაზომვის და ერთხელ გაჭრის პრინციპს ნუ გადაავლ[illegible] რემ, ვინ იცის, კანონები, დღეს რომ ხელაღებით აძლევთ „მწვანე გზას", იქნებ თქვენივე საქმიანობის მუხრუჭად იქცეს.

ჯუმბერ ნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Kulturwochen der Bundesrepublik Deutschland im Kaukasus - Herbst 1994

თბილისში გერმანული კულტურის დღეების პროგრამა

კავკასიოლოგთა კოლოქვიუმი — უნივერსიტეტი — 02 — 04. 10 11. 00 — 13. 00 კავკასიის ენები, ლიტერატურა და ისტორია — გერმანელ და კავკასიელ მეცნიერთა შეხვედრები.

ვაიმარის ცეკვის თეატრი — რუსთაველის თეატრი — 04 და 05. 10 17. 00 სთ.

ცეკვის თეატრი არ წარმოადგენს არც ბალეტს და არც თეატრს — ის ერთდროულად ორივეც არის და საკუთარი სახეც აქვს. „ლუიზიანა დუკა" მოგვითხრობს ამერიკაში ფრანგი ემიგრანტის კაჟუნის სიხარულისა და ტანჯვაზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე. სცენაზე მოქმედება მიმდინარეობს კაჟუნის მუსიკის, სხვადასხვა ჟანრის მუსიკისა და ჯაზის თანხლებით.

ფოტოგამოფენა — ხელოვნების მუზეუმი 05 — 11. 10 11. 00 — 15. 00 სთ. ყოველდღე

„მოგზაურობა გერმანიაში"

ძმები თეოდორ და ოსკარ ჰოფმაისტერები ამ საუკუნის დამდეგს ბევრს მოგზაურობდნენ გერმანიაში და ფოტოფირზე აღბეჭდავდნენ ბუნების ხედებს. მათ უმაღლეს დონეზე აიყვანეს ოფსეტური ბეჭდვის ტექნიკა და შეძლეს ბუნების ფერებთან მიახლოებული ფერადი ფოტოსურათების დამზადება. მათი ფოტონამუშევრები ხელოვნების ნიმუშებია.

„FUN HORNS" — ჯაზური კვარტეტის კონცერტი, მარჯანიშვილის თეატრი 07. და 08.10 18. 00 სთ.

ამ კვარტეტის მუსიკოსები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღიზარდნენ, მაგრამ მათ ადრევე შეიძინეს მეგობრები დასავლეთში. ხალისიანი ჯაზური კომპოზიციებში, რომლებსაც ისინი ასრულებენ, მათ ნართული აქვთ სხვადასხვა დროისა და რეგიონის მუსიკა. მეორე ნაწილში ქართველი და გერმანელი მუსიკოსების მიერ შესრულებული იქნება ჯაზი.

გერმანული ვიდეოხელოვნება — კინოს სახლი, მცირე დარბაზი, 10 და 11. 10 15. 00 სთ.

ორი განსხვავებული პროგრამის საშუალებით თვალსაჩინო ხდება, თუ როგორ ეპყრობიან ერთმანეთს ამ შედარებით ახალი ჟანრის, ახალგაზრდა ხელოვანები. ერთ პროგრამაში მხატვრული თემა წინა პლანზე წამოწეული, მეორე პროგრამა კი საზოგადოებასთან დაკავშირებულ თემას ასახავს.

პეტერ გოსსე, ლირიკოსი — უნივერსიტეტი 12. 10 14. 30 სთ. უცხო ენების ინსტიტუტი 13. 10 13. 30 სთ.

პეტერ გოსსე, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ლაიფციგში, კითხულობს თავის ნაწარმოებებს და ესაუბრება მსმენელებს. ლირიკოსი კლასიკურ ფორმებს მისდევს, მისი პოეზია ხალისით აღსავსეა, მაგრამ მის შემოქმედებაში სამყაროსადმი [illegible] სკეპტიკური დამოკიდებულებაც ვლინდება.

ვერნერ ჰერცოგის ფილმები. კინოს სახლი, დიდი დარბაზი 16 — 22 10 14. 00 სთ. და 16. 00 სთ.

ვერნერ ჰერცოგი იმ რეჟისორთაგანია, რომელთაც გერმანული კინოხელოვნება 60-70 წლებში მსოფლიო არენაზე გაიყვანეს. მისი ფილმები მოგვითხრობენ განსაკუთრებული ადამიანების, მათი ექსტრემალურ სიტუაციებში ქცევის შესახებ.

ნახატების გამოფენა — სურათების გალერეა.

ხუთი ჰამბურგელი მხატვარი ქალი ქართველ მხატვარ ქალებთან ერთად გაერთიანდნენ ჯგუფში „კობალტი". ისინი ერთად წარმოადგენენ თავიანთ ნაწარმოებებს.

მანჰაიმის სიმებიანი კვარტეტი — სიმფონიური მუსიკის ცენტრი 17. 00 სთ. 23. 10.

კვარტეტი მრავალი პრიზით არის დაჯილდოებული; შეასრულებს მოცარტის, მენდელსონ-ბარტოლდის და [illegible] ნაწარმოებებს.

ომი და ადამიანები

ვიეტნამელმა ასპირანტმა დისერტაცია დაიცვა

ამ დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაცია დაიცვა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეჩაიეობის კათედრის ვიეტნამელმა ასპირანტმა ნგუენ მინ ხიეუმ. დისერტაციის თემა იყო — „ჩაის ვიეტნამური ჯიშებისა და ვიეტნამურ-ქართული ჰიბრიდების მორფოლოგიური შესწავლა და სელექციური შეფასება აფხაზეთის პირობებში". ამას წინ მღელვარე მოვლენები უძღოდა...

ნგუენ მინ ხიეუ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეჩაიეობის კათედრაზე ასპირანტად 1988 წელს ჩაირიცხა. მისი მეცნიერი ხელმძღვანელები იყვნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გენო ჩხაიძე და ანასეულის ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის სელექციის განყოფილების გამგე, დოცენტი ვახტანგ კოტუბიძე.

კვლევის თემას შეადგენდა ამ სამი ათეული წლის წინათ ვიეტნამიდან შემოტანილი ჩაის ჯიშები: შანი, ჩუნგზუ, შანტანვე და ადგილობრივი ასამი, რომლებიც კარგად შეეგუა საქართველოს შედარებით განსხვავებულ კლიმატურ პირობებს და მრავალი დადებითი სამეურნეო ნიშან-თვისება გამოავლინა.

ასპირანტმა დისერტაცია დროულად შეასრულა და დასაცავად წარადგინა 1992 წლის ივნისში, მაგრამ მისი დაცვა ვერ მოახერხა: აფხაზეთის ცნობილი მოვლენების გამო იძულებული გახდა სოხუმი დაეტოვებინა. ორი წლის განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა, ფიზიკურად მუშაობდა. შემდეგ შეძლო მოეძებნა პროფესორი გენო ჩხაიძე, რომელმაც, 1993 წლის სექტემბრიდან ასევე იძულებით დატოვა სოხუმი და ამჟამად თბილისში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობს. მან თავის ვიეტნამელ ასპირანტს აცნობა, შენი დისერტაცია სოხუმში დარჩაო. ნგუენ მინ ხიეუმ დიდი წვალებით მოახერხა სოხუმში ჩასვლა, ინსტიტუტის მბეჭდავ რუს ქალთან თავისი დისერტაცია იპოვა და თბილისში ჩამოიტანა.

სამეცნიერო საატესტაციო საბჭომ ერთხმად მიანიჭა ნგუენ მინ ხიეუს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იგი პირველი უცხოელი ასპირანტია, რომელმაც ამ დარგში საქართველოში დაიცვა დისერტაცია და საქართველოს რესპუბლიკის მიერ გაცემული დიპლომით დაუბრუნდება სამშობლოს.

ქრისტეფორე ბოგიჩაშვილი.

წერილების ექო

„თბილისში ქოლერის გავრცელებისთვის ყველა პირობაა შექმნილი"

გვეხმაურება თბილისის მერიის პრესსამსახურის უფროსი ლ. მუკბანიანი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 30 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „თბილისში ქოლერის გავრცელებისათვის ყველა პირობაა შექმნილი" გამო გაცნობებთ, რომ ქალაქის მერიამ იმსჯელა ამ პუბლიკაციის გამო, რის შედეგადაც მერიის პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მერია და მუნიციპალიტეტი ყველა ღონეს ხმარობს: შეიქმნა კეთილმოწყობის სამმართველო, ახლახან ფირმა „ჯორჯია ტრანზოილის" დახმარებით გერმანიაში შეიძინა სანაგვე მანქანები, იმავე ფირმამ იკისრა ქალაქის სამი უბნის დაგვა-დასუფთავება. ამის გარდა, ნიუ-იორკის მერმა ბატონმა ჯულიანიმ ფაქსით გვაცნობა, რომ გამოგვიგზავნის (თითქმის უსასყიდლოდ) 10 ისეთივე ტიპის მანქანას. ყოველ შაბათს ეწყობა შაბათობები და ქალაქი სუფთავდება, თუმცა ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, მაინც არის.

რაც შეეხება ქოლერის გავრცელების საშიშროებას, რის გამოც ინტერვიუერი ტეხს განგაშს, ნამდვილად არ არსებობს. ქალაქის სანეპიდსადგურს მუდმივ კონტროლზე ჰყავს აყვანილი წყალსაცავები, წყალი სუფთაა, არის გამწმენდი ქლორიც.

მაგრამ საწყენი ის არის, რომ ინტერვიუერის განაწყენება და არაკორექტული ტონის სათავე სულ სხვაა. შემოწმებამ ცხადყო, რომ 10 ათასი დოლარის საბუღალტრო დოკუმენტაციაც, რომელიც სადეზინფექციო სადგურს გამოუყო მერიამ შხამ-ქიმიკატების შესაძენად, დაკარგულია. დაკარგულია აგრეთვე სამი წლის იმავე სახის დოკუმენტაცია.

აღმაშფოთებელია, როცა განაწყენებული კაცი გადაბრალების პოლიტიკას იწყებს, თორემ კონკრეტულად შხამ-ქიმიკატებისათვის გამოყოფილი თანხის დოკუმენტაციის გაქრობა, ვფიქრობთ, არანაკლებ საგანგაშოა. აღნიშნულს შესაბამისი სამსახურებიდან სათანადო რეაგირება მოჰყვება.

სარედაქციო ფოსტიდან

კანონი ყველასათვის ერთია!

ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომელთა განცხადება

ახლახან მოწმე გავხდით დესტრუქციული ძალების, კერძოდ, რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფის მიერ პროვოცირებული პოლიტიკური კაზუსისა, რომელსაც, თუ არა სახელმწიფო მეთაურის, პარლამენტის წევრთა ჯანსაღი ნაწილის, საზოგადოებრიობის დროული რეაგირება და პრინციპული პოზიცია, უთუოდ მოჰყვებოდა ჩვენი ქვეყნის გადაჩეხვა ქაოსისა და განუკითხაობის უფსკრულში...

ამაზე აზერბაიჯანში მომხდარი ფაქტებიც მეტყველებს.

მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასება პოლიციის მუშაკთა საქმე არ არის, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას.

ამ მოვლენათა „გმირებმა" თავიანთი დესტრუქციული მოქმედება დაიწყეს სამართალდამცავ ორგანოებზე, კერძოდ პოლიციასა და პროკურატურაზე თავდასხმებით. გამოდის, რომ პოლიტიკური ძალების ერთ ნაწილს უნდა რესპუბლიკაში წესრიგი, ხოლო მეორე ნაწილს კი — პირიქით, ეს ანომალიაა.

ამის მიუხედავად, პოლიციას არ სურს გაერიოს პოლიტიკურ ინტრიგებში. იგი საკუთარი სიცოცხლის ფასად ცდილობს რესპუბლიკაში აღადგინოს წესრიგი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს დამნაშავეობას.

ამ სულისკვეთებითა და მომავლის იმედით საქმიანობს დედაქალაქის სამგორის რაიონის პოლიციაც. ჩვენ სხვებთან ერთად ვიმედოვნებდით, რომ პარლამენტი სწორედ ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, რომელმაც უნდა შექმნას მყარი სამართლებრივი ბაზა პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მისი პატივისა და ღირსების დასაცავად.

სამწუხაროდ, პირიქით მოხდა: პარლამენტმა ჩვენი კოლეგა რევაზ შოშიაშვილი არამცთუ დაიცვა, ფაქტობრივად ცილისმწამებლადაც კი გამოიყვანა.

უფრო მეტიც: დეპუტატთა აგრესიულად განწყობილმა ნაწილმა ობსტრუქცია მოუწყო რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, პიროვნებას, რომელსაც იმავე პარლამენტმა ანდო სახელმწიფო კანონიერებაზე უმაღლესი ზედამხედველობა, სხდომა გადააქციეს სასამართლო დარბაზად, სადაც უკვე ბრალმდებლის როლში გამოდიოდნენ დანაშაულში ეჭვმიტანილი დეპუტატები და მათი მხარდამჭერები.

სამგორის პოლიციის მთელი კოლექტივი იმედოვნებს, რომ პარლამენტი აღადგენს სამართლიანობას და იმ დასკვნამდე მივა, რომ დეპუტატის იმუნიტეტი იმიტომ არსებობს, დამნაშავე პარლამენტარმა პასუხი არ აგოს.

მოვითხოვთ გაგრძელდეს საქმეზე გამოძიება და დაუყოვნებლივ შემუშავდეს ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს და მომავალში არ დაუშვებს პარლამენტის მიერ ცალკეული დეპუტატის ქმედებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების ბლოკირებას, როცა საამისოდ არსებობს საკმაო სამხილები პასუხისგებაში მათი მიცემისათვის, რამეთუ კანონი ყველასათვის ერთია.

მიღებულია ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობის კრებაზე.

ვითხოვთ ინსტიტუტის ფილიალის სენაკში გახსნას

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ერთ-ერთი ძველი უმაღლესი სასწავლებელია აფხაზეთში, რომელიც საქართველოს (მეტწილად სუბტროპიკული ზონის რაიონებისათვის), უმზადებს ამ დარგის მაღალკვალიფიციურ კადრებს.

ინსტიტუტის რექტორატი, ცნობილი მიზეზების გამო, დროებით ქუთაისში იმყოფება, აფხაზი სეპარატისტების მიერ გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ომს შეეწირა ჩვენი ინსტიტუტის მრავალი სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი.

დღეისთვის ინსტიტუტის როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა უმრავლესობა (არანაკლებ 50-60 პროცენტი) მუდმივად ცხოვრობს ან თავშეფარებულია სენაკის, ფოთის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, აბაშისა და სხვა რაიონებში.

დღევანდელ უმძიმეს სოციალურ-ეკონომიურ პირობებში ჩვენი რაიონებიდან საკმაოდ დაშორებულ ქუთაისში მოგზაურობა და ცხოვრება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რისი საშუალებაც არა გვაქვს. არადა, იძულებული ვიქნებით თავი დავანებოთ სწავლას, ან ვეძებოთ სხვა უმაღლესი სასწავლებელი.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, პრემიერ-მინისტრსა და დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარეს ვთხოვთ გაითვალისწინონ სტუდენტებისა და მათი მშობლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დროებით მაინც გახსნან ჩვენი ინსტიტუტის ფილიალი სენაკში. დარწმუნებული ვართ ამაში მხარს დაგვიჭერს ადგილობრივი ხელისუფლება. ვფიქრობთ სენაკში არსებობს სათანადო პირობები ამ მეტად კეთილშობილური საქმისათვის.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტთა სახელით ბონა კორშია, ნინო ბზიავა, ზაზა კვირკველია, კობა ჭოჭონავა, ირმა კვირკველია, ბელა კორშია, სოფიკო ნადარეიშვილი, ავთანდილ გოგეჩია, დავით ხუხიაშვილი, ლეილა კოხია, მედეა შამათავა, ვეფხო როგავა, ელგუჯა კვარაცხელია, თეა თორდუა, ნატო ნაჭყებია და სხვები (სულ 800-ზე მეტი ხელმოწერა).

1994 წლის სექტემბერი.

ხიდები: თბილისი — ინსბრუკი

ნიკო ლეკიშვილი:

დაიწყო ახალი ეტაპი...

სექტემბრის დამლევს ინსბრუკში „დინამო"-„ტიროლის" მატჩის გარდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქართულ-ავსტრიული შეხვედრა მოეწყო. დაძმობილებული ქალაქების — თბილისისა და ინსბრუკის თავკაცების საქმიანი მოლაპარაკების კონკრეტულ შედეგებსა და ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის საინტერესო სხვა საკითხებზე გვესაუბრება თბილისის მერი ბატონი ნიკო ლეკიშვილი.

— ჩვენი ქალაქები 70-80-იან წლებში მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მაგრამ საქართველოში ბოლო პერიოდში შექმნილმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ ამ ურთიერთობაზეც უარყოფითად იმოქმედა. დაახლოების ახალი ეტაპი წლეულს ზამთარში დაიწყო, როდესაც ტიროლიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით მედიკამენტები გამოგვიგზავნეს.

ამჟამინდელი ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სტუდენტებისა და შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლის კოორდინაცია. ჩემს ინსბრუკელ კოლეგასთან — ქალაქის ახალ ობერ-ბურგომისტრთან დოქტორ ჰერვიგ ვან სტაასთან მოვილაპარაკეთ, რომ ისინი საკუთარი დაფინანსებით წელიწადში 4-5 სტუდენტს უმასპინძლებენ, ძირითადად ეკონომისტებს. ჩვენი ტიროლელი მეგობრები თავის თავზე იღებენ მათი სტიპენდიებისა და ასპირანტურის ხარჯებით უზრუნველყოფასაც. შევთანხმდით აგრეთვე მსოფლიოში განთქმულ ინსბრუკის სპორტული განხრის ინსტიტუტში სასწავლებლად სპორტულ მენეჯერებად დაოსტატების მსურველი ქართველი ახალგაზრდების გაგზავნაზეც. ეს საკითხი ჯერჯერობით პროექტის დონეზეა და ბევრი რამ მისი დადებითად გადაწყვეტისათვის საქართველოს სპორტის დეპარტამენტზეა დამოკიდებული.

გამოვთქვით ჩვენი ქალაქების სკოლათა დაკავშირების სურვილიც.

საიმედო პერსპექტივები დაისახა ჩვენთვის ასე მტკივნეულ კომუნალურ დარგშიც. კერძოდ, სავარაუდოდ, გაისად, ნაწილობრივ ჩვენი თანხებით, ნაწილსაც უსასყიდლოდ შევიძენთ მანქანა-მექანიზმებს (თოვლგამწმენდებს, ასფალტის დამგებ რემიქსერებს და სხვ.).

დიდი ყურადღება დაეთმო კულტურის სფეროში კონტაქტებსაც. გადაწყდა, რომ მომავალ წელს რიგით მეორე „საგაზაფხულო ფესტივალზე" ტიროლიდან გვეწვევიან ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

რაც შეეხება ჰუმანიტარულ საკითხებს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ შემდგომში ჩვენი საჭიროებისამებრ გამოგვიგზავნიან ამა თუ იმ ხასიათის დახმარებას. ამჯერად ბატონი ობერ-ბურგომისტრი შეგვპირდა, რომ ძალიან მალე მივიღებთ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს.

— იქნებ, შთაბეჭდილებებიც გაგვიზიაროთ...

— სიამოვნებით. როგორც მოგეხსენებათ, ტიროლი ალპებში მდებარეობს და მკაცრი ზამთრით გამოირჩევა, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტს, გერმანიის მსგავსად, რომ იტყვიან, „ხელი აქვთ დაბანილი" მოსახლეობის ცენტრალური გათბობით, გაზითა და ცხელი წყლით მომარაგების საქმეში. მათი ძირითადი ფუნქციაა გზებისა და ქუჩების მოვლა-პატრონობა. სწავლა-აღზრდა ნებისმიერ სასწავლებელში ფასიანია. გამონაკლისია ქალაქის 2 ბაგა-ბაღი, რომლებსაც სიღარიბის გამო მუნიციპალიტეტი ურიცხავს სუბსიდიებს.

როგორც ცნობილია, ინსბრუკი 1964 და 1976 წლებში ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი გახლდათ, რამაც უზარმაზარი თანხები მოითხოვა. ვალების გასტუმრება ჯერჯერობით ვერაფრით ვერ მოხერხდა და ამიტომაც მდგომარეობის გამოსასწორებლად გადასახადები მკვეთრად გაზარდეს (ინსბრუკის ძველი ობერ-ბურგომისტრი, რომელთანაც ასევე გულთბილი შეხვედრა მქონდა, სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ წავიდა თანამდებობიდან).

ტიროლში სახელმწიფო სახლი არ არსებობს. ერთი ოთახი საშუალოდ 900(!) დოლარად ქირავდება. ბინები საკმაოდ ძვირია, თანაც საბინაო ფონდი მცირეა, ჩემი კოლეგის ერთადერთი დანიშნულებაა მოძებნოს ისეთი პიროვნება, რომელიც შეისყიდის მიწის გარკვეულ ფართობს, თავად ააშენებს სახლს და შემდეგ გაყიდის...

— თვით მატჩისა და დინამოელთა შესახებ რას გვეტყვით?

— ვფიქრობ, თბილისელთა ეს მძიმე დამარცხება ორგანიზაციულმა საკითხებმა (მომქანცველი მგზავრობა) და მთავარი მწვრთნელის შეცდომებმა განაპირობეს. საერთოდ კი, ყოველმხრივ უმდა ვეცადოთ, რომ დიდი პოტენციური შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ჩვენი საყვარელი გუნდი შევინარჩუნოთ. მე პირადად ახლოს ვიცნობ მათ უმეტესობას და ვიცი, რომ თითქმის ყველას სურს აქ დარჩენა და თამაში. ამისათვის ფინანსური პრობლემების მოგვარებაა აუცილებელი. მერია კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად ძალ-ღონესა და შესაძლებლობებს არ დაიშურებს დინამოელთათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით გამოვუყოფთ მიწას, ფირმებს... 2-3 კაცის წასვლა ტრაგიკული არ იქნება. ვიმეორებ: ეს გუნდი უნდა შევინარჩუნოთ!

აქვე დავძენ: გაისად, ალბათ, „დინამო" ჩემპიონთა თასზე იასპარეზებს, პირველი ეტაპის დაძლევის შემდეგ კი უკვე ჩემპიონთა ლიგაში მოუწევს გამოსვლა. დამეთანხმებით, მშვენიერი პერსპექტივაა, თუნდაც იგივე მატერიალური თვალსაზრისით. ბიჭებს ვთხოვე, კარგად დაფიქრდნენ, სად ურჩევნიათ კარიერის გაგრძელება — გერმანიის მეორე ლიგასა და თურქეთის ჩემპიონატში თუ თბილისის „დინამოს" მაისურით და საქართველოს სახელით ჩემპიონთა ლიგაში?

— დასასრულს, იქნებ კიდევ ერთ საჭირბოროტო საკითხზე — სტუდქალაქის სტადიონის ბედზეც მოგვახსენოთ ორიოდე სიტყვა...

— სამწუხაროდ, როგორც გვჩვევია ქართველებს, როდესაც ურემი უკვე გადაბრუნდა, მაშინ ატყდა განგაში. არადა, შეგახსენებთ, რომ სტუდქალაქის სტადიონის ტერიტორიაზე თბილისის ომის დროს იავარქმნილ რუსთაველის პროსპექტზე უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთათვის ბინების აშენება 1992 წელს გადაწყვიტა მერიამ. სად იყვნენ აქამდე? გასათვალისწინებელია, რომ სახლს 90 ოჯახი ელოდება, მათ შორის 81 — იმ სისხლიან დღეებში დაზარალებული. ნუ დაგავიწყდებათ, რომ პროექტი უკვე დამტკიცებულია, ორდერები კი — გაცემული.

და მაინც, მსურს დავამშვიდო თბილისელები: გამოსავალი გამოინახა, გაცნობებთ, რომ იქვე, რამდენიმე ასეულ მეტრში ჩემი გადაწყვეტილებით აშენდება და გაზაფხულიდან მწყობრში ჩადგება ახალი კეთილმოწყობილი სტადიონი, სამომავლოდ კი, გპირდებით, რომ ქალაქში მრავალ სტადიონს ავაგებთ. მთავარია ინიციატივიანი ხალხი გამოჩნდეს, რომლებიც ამ საქმის ხორცშესხმას ითავებენ, მაგალითად, სანაპიროზე. მათ მერია გადასახადებისაგან გაანთავისუფლებს!

ესაუბრა

გია პლატონიშვილი.

P. S. ბატონმა ნიკომ გულისტკივილით აღნიშნა, რომ რაც გვაქვს, იმასაც ვერ (თუ არ!) ვუვლით და მაგალითად ვაკის 26 მაისის სახელობის (ყოფილი „ლოკომოტივის") სტადიონის სავალალო მდგომარეობა დაასახელა. ძნელია, არ დაეთანხმო მერს.

ვეცადოთ, რომ დღეიდან მაინც გავუფრთხილდეთ სხვათა დანატოვარს.

გ. პ.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის

1994 წლის 28 სექტემბრის

№ 25 დადგენილებით

დროებითი ინსტრუქცია

რწმუნებული ბანკების მიერ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნისა და მათი მუშაობის შესახებ

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მითითების შესაბამისად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა ვალუტის გადაცვლის სისტემის მოწესრიგებისათვის: დაიხვეწა ნორმატიული ბაზა, მოწესრიგდა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მექანიზმი, სისტემური ხასიათი მიიღო მოქმედი გადამცვლელი პუნქტების გამსვლელმა შემოწმებებმა. გამოვლენილი ნაკლოვანება-დარღვევებისთვის ამ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე 400-მდე გადამცვლელ პუნქტს ჩამოერთვა ლიცენზია. მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა კუთვნილი გადამცვლელი პუნქტები კვლავ უხეშად არღვევენ მოქმედ რეჟიმს.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალია ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საბანკო დაწესებულებებში მოქცევა.

ვაქვეყნებთ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ „დროებით ინსტრუქციას რწმუნებული ბანკების მიერ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნის და მათი მუშაობის შესახებ".

1. ზოგადი დებულებანი

1.1. ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე ეროვნული ბანკის ლიცენზიის მქონე ბანკების მიერ (შემდგომში იწოდებიან რწმუნებულ ბანკებად) ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნისა და მათი მუშაობის დროებით წესებს.

1.2. რწმუნებული ბანკები პუნქტებს ხსნიან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეების (რეზიდენტების) და საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები მოქალაქეების (არარეზიდენტების) ვალუტის გაცვლის ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

1.3. პუნქტი გაიხსნება ბანკის ბრძანების საფუძველზე. ბრძანებაში უნდა აღინიშნოს პუნქტის ადგილმდებარეობა, მუშაკთა რაოდენობა, მათი უფლება-მოვალეობანი, ოპერაციების ჩამონათვალი, რომელთა შესრულების უფლება ეძლევა მოცემულ პუნქტს, თანამდებობის პირები, რომელთაც ევალებათ პუნქტის საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი. პუნქტის მუშაობის საათები.

1.4. პუნქტი [illegible] ბანკის სტრუქტურულ ქვედანაყოფს და მოქმედებს სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე ეროვნული ბანკის მიერ ბანკისათვის გაცემული ლიცენზიის ფარგლებში.

1.5. პუნქტებს შეუძლიათ აწარმოონ შემდეგი ოპერაციები:

— ნაღდი უცხოური ვალუტის შესყიდვა და გაყიდვა;

— საგადამხდელო საშუალებების (საგზაო ჩეკები, ევროჩეკები, საგზაო აკრედიტივები, საკრედიტო ბარათები და სხვა) განაღდება, იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს სათანადო შეთანხმებები (ხელშეკრულებები) ემიტენტ ბანკებთან და რწმუნებული პირების ხელისმოწერის ნიმუშები;

— კლიენტის ხარჯით და დავალებით უცხოური ვალუტის შესყიდვა ხელშეკრულების საფუძველზე;

— ვარგისიანობაში ეჭვმიტანილი უცხოური ვალუტის ფულადი ნიშნების ექსპერტიზაზე მიღება.

ეს დროებითი ინსტრუქცია თავისი დანართებითურთ დაეგზავნათ საქართველოს რწმუნებულ ბანკებს.

1.6. გასახსნელი პუნქტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

1.7. პუნქტის გახსნა შეიძლება მხოლოდ კაპიტალურ შენობაში, სადაც პუნქტისათვის უნდა გამოიყოს სხვა სამსახურებისაგან იზოლირებული სადგომი, რომელიც უპასუხებს სალაროს ოპერაციების წარმოების ნორმების დაცვის მოთხოვნებს.

2. ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაცია

2.1. ბანკი ვალდებულია პუნქტი გაატაროს რეგისტრაციაში საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზირების განყოფილებაში ან ეროვნული ბანკის დაწესებულებაში ადგილმდებარეობის მიხედვით.

2.2. ბანკი წერილობით აცნობებს ეროვნულ ბანკს ან მის დაწესებულებას პუნქტის გახსნის შესახებ და მიმართავს თხოვნით გაატაროს იგი რეგისტრაციაში. წერილს თან უნდა დაერთოს ბრძანების ასლი პუნქტის გახსნის შესახებ და მონაცემები პუნქტის მუშაკებზე.

2.3. ეროვნული ბანკის ლიცენზირების განყოფილება და საკასო ოპერაციების, ფასეულობის დაცვისა და სპეციალური გადაზიდვის სამმართველო ან ეროვნული ბანკის დაწესებულება ვალდებული არიან წერილის მიღებიდან ორი კვირის ვადაში შეამოწმონ შეესაბამება თუ არა სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი პუნქტის სადგომი ამ ინსტრუქციის მოთხოვნებს და შემოწმების შედეგების შესახებ შეადგინონ სათანადო აქტი.

თუ პუნქტის სადგომი აღნიშნულ მოთხოვნებს შეესაბამება, ეროვნული ბანკის ლიცენზირების განყოფილება ან ეროვნული ბანკის დაწესებულება, მას გაატარებს რეგისტრაციაში სარეგისტრაციო ჟურნალში სათანადო ნომრის მინიჭებით და გასცემს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმის სარეგისტრაციო მოწმობას.

თუ პუნქტის სადგომი ამ მოთხოვნებს არ შეესაბამება, ეროვნულმა ბანკმა ან მისმა დაწესებულებამ წერილობით უნდა აცნობონ ბანკს პუნქტის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ მიზეზების აღნიშვნით.

2.4. ბანკის შენობის გარეთ განთავსებული პუნქტი უნდა აღირიცხოს საგადასახადო ინსპექციაში, ეროვნულ ბანკში ან მის დაწესებულებაში რეგისტრაციის შემდეგ სამი დღის განმავლობაში, რისი დამადასტურებელი საბუთი წარმოდგენილ უნდა იქნეს ეროვნულ ბანკში ან მის დაწესებულებაში.

3. ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მუშაობის მოწყობა

3.1. პუნქტში სამუშაოდ დაინიშნებიან ბანკის შტატში რიცხული მუშაკები, რომლებმაც შეისწავლეს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული მუშაობა.

3.2. პუნქტის მუშაკები არიან მატერიალურად პასუხისმგებელი პირები. ისინი სამუშაოზე გაფორმდებიან ბანკის სალაროს მუშაკებისათვის გათვალისწინებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3.3. ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს პუნქტი სატელეფონო კავშირით, დაცვითი სიგნალიზაციით, რკინის კარადით, ბანკნოტის გადასახდელად ვარგისიანობის შემმოწმებელი საშუალებით, გამომთვლელი მანქანით, ვალუტის კურსებისა და პუნქტის მუშაობის საათების აღმნიშვნელი საინფორმაციო ელექტროტაბლოთი ან სტენდით.

3.4. სავალუტო ოპერაციების განხორციელებისათვის [illegible] უნდა ჰქონდეს შემდეგი ბლანკები: საზღვარგარეთ უცხოური ვალუტის გატანის ნებართვის, შესყიდული და გაყიდული ვალუტის აღრიცხვის რეესტრები, ავანსის მისაღებად განაცხადისა და ანგარიშგების ბლანკები, ბეჭედი და შტამპი.

3.5. საზღვარგარეთ ვალუტის გატანის ნებართვის ბლანკების უნიფიცირებულ ფორმას, რომელიც მკაცრი აღრიცხვის საბუთს წარმოადგენს, შეიმუშავებს, დაამზადებს და ბანკებს ცენტრალიზებული წესით მოამარაგებს ეროვნული ბანკი.

3. 6. მკაცრი აღრიცხვის ბლანკები ბანკში პირობითი შეფასებით ერთი ცალი — ერთი კუპონი აღირიცხება № 9959 ბალანსგარეშე ანგარიშზე და შეინახება ბანკის სალაროში.

3. 7. ბანკი ყოველი პუნქტისათვის დაადგენს ავანსების ლიმიტებს კუპონებსა და უცხოურ ვალუტაში დღის განმავლობაში პუნქტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო ოდენობით.

3.8. ბანკი ავანსს კუპონებსა და უცხოურ ვალუტაში, აგრეთვე მკაცრი აღრიცხვის ბლანკებს, გასცემს პუნქტის მუშაკის განაცხადის საფუძველზე.

3.9. პუნქტის მუშაკს ავანსის მიღება შეუძლია ბანკის სალაროში ან პუნქტში. ავანსის მიღებაზე იგი ხელს მოაწერს შესაბამისი სალაროს გასავლის ორდერზე.

3.10. პუნქტში ფასეულობის მიტანას უზრუნველყოფს ბანკი.

4. ვალუტის ყიდვა და გაყიდვა

4.1.. ვალუტის ყიდვისას პუნქტის მუშაკი შეამოწმებს რეზიდენტისა და არარეზიდენტის მიერ გასაყიდად წარმოდგენილი ვალუტის ბანკნოტების გადასახდელად ვარგისიანობას, გამოიანგარიშებს კურსის მიხედვით ვალუტის ეკვივალენტს კუპონებში და მისცემს კუთვნილ თანხას კლიენტს კუპონებით.

4.2. უცხოური ვალუტის შესყიდვისას პუნქტებს ეკრძალებათ თვითნებურად დააწესონ რაიმე შეზღუდვები ბანკნოტის ღირებულებისა და ემისიის წლების მიხედვით.

ვალუტის გადამცვლელმა პუნქტებმა შეუფერხებლად უნდა მიიღონ მოსახლეობისაგან აშშ დოლარები გამოშვების წლის მიუხედავად, თუ ბანკნოტი არ არის მოძველებული ან გადასახდელად უვარგისი. მოძველებულად და გადასახდელად უვარგისად ითვლება ბანკნოტი, რომელსაც აქვს შემდეგი დაზიანებები:

— დაფლეთილია ნაწილებად და შეწებებულია;

— შეცვლილია პირველადი შეფერილობა (დაფერილია საღებავით, მელნით, იმყოფებოდა ქიმიური ზემოქმედების ქვეშ და სხვა);

— დამწვარია, დაზიანებულია სხვა გზით, არ არის შენახული აღნიშნული ბანკნოტისათვის აუცილებელი ყველა ძირითადი რეკვიზიტი;

სავალდებულოა მიღებისათვის ყველა ბანკნოტი:

— თუ დაცულია აღნიშნული ბანკნოტისათვის აუცილებელი ყველა რეკვიზიტი: ემიტენტი ბანკის დასახელება, ნომერი და სერია, ნომინალი ციფრებით და სიტყვიერად, ძირითადი ნახატი ბანკნოტის ორივე მხარეს, ბანკნოტის გაყალბებისაგან დამცავი ელემენტები და ა. შ.

— რომელთაც გააჩნიათ ბუნებრივი ცვეთის შედეგად არსებული უმნიშვნელო დეფექტები: გაჭუჭყიანებულია, უმნიშვნელო ნახევები და ცვეთა, მცირე ლაქები და წარწერები, რომლებიც არ ცვლიან აღნიშნული ბანკნოტისათვის აუცილებელ ყველა რეკვიზიტს.

ზემოთ მოყვანილი ნორმების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში განხილული იქნება საკითხი პუნქტის დახურვის შესახებ.

4.3. პუნქტები უცხოურ ვალუტას შეისყიდიან და გაყიდიან კუპონებზე. დაშვებულია ერთი სახის ვალუტის კონვერსია სხვა სახის ვალუტაში.

4.4. პუნქტებს ეკრძალებათ უარი უთხრან კლიენტს კუპონებზე ვალუტის შესყიდვასა და გაყიდვაზე.

4.5. რეზიდენტებს უცხოური ვალუტა მიეყიდებათ შეუზღუდავად.

4.6. თუ რეზიდენტი საზღვარგარეთ მიემგზავრება და წარადგენს პასპორტსა და საზღვარგარეთ გასვლის ვიზას, პუნქტის მუშაკი კლიენტს მისცემს საზღვარგარეთ უცხოური ვალუტის გატანის ნებართვას შესყიდული ვალუტის ფარგლებში.

ნებართვა შეივსება ორ ცალად პირგადასაღები ქაღალდის ქვეშ, პირველი ცალი მიეცემა კლიენტს, ხოლო მეორე გაყიდული ვალუტის რეესტრთან ერთად შეინახება დღიურ საბუთებში.

4.7. პუნქტის მუშაკი ვალდებულია თითოეული ოპერაცია შესრულებისთანავე ჩაწეროს შესყიდული და გაყიდული ვალუტის რეესტრებში, ხოლო მკაცრი აღრიცხვის ბლანკის შემთხვევაში, მისი ნომერი რეესტრის სათანადო სვეტში.

4.8 პუნქტებს არ აქვთ უფლება აწარმოონ უცხოური ვალუტის მხოლოდ შესყიდვა ან მხოლოდ გაყიდვა. მათ ეს ოპერაციები უნდა განახორციელონ ერთდროულად.

4. 9. ბანკები ეროვნული ბანკის კურსებზე ორიენტაციით დაადგენენ უცხოური ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს.

4.10. ოპერაციების შესრულებისათვის საკომისიო გასამრჯელოს ოდენობას დაადგენენ ბანკები.

5. ანგარიშგება

5.1. პუნქტები ვალდებული არიან ბანკებს ყოველდღე წარუდგინონ ანგარიშგება დადგენილი ფორმით.

5.2. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ პუნქტის მუშაკი დააჯამებს შესყიდვისა და გაყიდვის რეესტრებს და გამოიყვანს ნაშთებს ვალუტის სახეობის მიხედვით, გამოიანგარიშებს ავანსიდან დარჩენილ თანხებს უცხოურ ვალუტასა და კუპონებში, გახარჯული მკაცრი აღრიცხვის ბლანკებს ნომრების მიხედვით და მოამზადებს ფასეულობას ბანკში გასაგზავნად.

აკრძალულია ფასეულობის პუნქტში დატოვება სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ.

5. 3. ბანკები ვალდებული არიან უზრუნველყონ პუნქტიდან ფასეულობის წაღება ბანკში.

5.4. თუ სამუშაო საათების შემდეგ პუნქტიდან წაღებული ფასეულობა და საანგარიშგებო საბუთები ბანკში მოხვდება საოპერაციო საათების დამთავრებამდე, ბანკი ვალდებულია შემოსავალში გაატაროს ფასეულობა და ასახოს იმავე დღის ბალანსში.

საოპერაციო საათების დამთავრების შემდეგ პუნქტიდან შესული ფასეულობა შეიძლება გატარდეს შემოსავალში და აისახოს ბალანსში მომდევნო დღეს.

6. ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მუშაობის კონტროლი

6.1. ბანკის ხელმძღვანელი და მისი სავალუტო ქვედანაყოფის უფროსი პასუხისმგებელი არიან პუნქტის მუშაობის სწორი ორგანიზაციის, პუნქტის მუშაკების მიერ ოპერაციების გაფორმების, აღრიცხვის, ანგარიშგების, მატერიალური ფასეულობის შენახვისა და ჩაბარების წესების დაცვისა და პუნქტის მთელი საქმიანობისათვის.

6.2. ეროვნული ბანკის ბანკების ზედამხედველობის სამმართველო, რომელიც ვალდებულია კონტროლი განახორციელოს პუნქტების მუშაობაზე, პერიოდულად ჩაატარებს შემოწმებებს პუნქტების მიერ ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის თვალსაზრისით და შემოწმების შედეგების შესახებ შეადგენს სათანადო აქტებს.

6. 3. თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა კანონმდებლობისა და ამ ინსტრუქციით დადგენილი სავალუტო ოპერაციების წარმოების წესების დარღვევა, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დახუროს პუნქტი ან ბანკიდან გამოითხოვოს ლიცენზია სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე.

გონივრული წინადადება

მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზოგადოებრივმა სათათბირომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით.

დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანას ჰყავდეს დიდი არმია. აუცილებელია დადგინდეს დღევანდელი პირობების შესატყვისი არმიის ოპტიმალური რაოდენობა (ჯარების გვარეობათა მიხედვით), განისაზღვროს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი ახალგაზრდების რაოდენობა, ოფიციალურად დადგინდეს იმათი ვინაობა, ვინც არ ისურვებს არმიაში სამსახურს და გადაიხდის დაწესებულ ბეგარას (სასურველია მყარი ვალუტით). აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს არმიის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვასა და მომსახურეთა ხელფასით უზრუნველყოფას.

ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც: ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწავლის პროცესის გაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს სპეციალისტის მომზადებას, გარდა ამისა, სამხედრო კათედრები, რომლებიც არსებობენ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლებში, დიდ მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს მოითხოვენ, რომელთა გაღებაც დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. მიახლოებითი გამოანგარიშებით, რესპუბლიკის ის სახელმწიფო უმაღლესები, რომლებსაც აქვთ სამხედრო კათედრები და ისინიც, რომლებსაც აქვთ პერსპექტივა ასეთი კათედრების გახსნისა (მათ შორისაა აგრარული უნივერსიტეტი) ყოველწლიურად გამოუშვებენ 3-3,4 ათას თადარიგის ოფიცერს. საკითხავია, ქვეყანას, რომელსაც ეყოლება შეზღუდული რაოდენობის არმია, სჭირდება კი ამდენი ოფიცერი, ან იქნებიან კი ისინი სრულყოფილი სამხედრო სპეციალისტები?

საკითხი მეტად საშურია და ვთვლით, რომ მისი დროული გადაწყვეტა მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება.

ნაპოლეონ ქარქაშაძე,
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი.

ჩვენი თანამემამულენი

ბედის ვარსკვლავის დევნაში

ორიოდე ეპიზოდი ვახტანგ სუდაძის ცხოვრებიდან

თავის ხალხსა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ ვახტანგ სუდაძეს, მართალია, ბედის ტრიალმა ბოლოს სხვაგან ყოფნა არგუნა, მაგრამ გული ვერაფერმა განუსხვისა. ცხოვრობს ახლა ეს 86 წელს მიტანებული მოხუცი გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგის ერთ ლამაზ უბანში, უვლის თავის ხელით გაშენებულ აყვავებულ ბაღ-ბოსტანს და ფიქრობს საქართველოზე, ახალციხეზე, მშობლიურ ღრელზე. ახლახან ბატონ გიგა ხიმშიაშვილის ხელით გამოგზავნილ წერილში შეწუხებული მწერს: „ბატონო შოთა, ჩემი წარსული დღესაც მაფიქრებს და მაწვალებს, ვარჩევ და ვერ გამირჩევია — რა გზით უფრო მეტ სარგებელს მოვუტანდი მე ჩემს ქვეყანას".

გარეშე პირისგან ასეთი რჩევა, რა თქმა უნდა, ძნელი საქმეა, მაგრამ ვინც ზოგადად მაინც გაეცნობა ბატონ ვახტანგ სუდაძის თავგადასავალს, დარწმუნდება, რომ მას გაკეთებული აქვს ის, რის გაკეთებაც მხოლოდ ყველაზე გამორჩეულ, გონიერ და მამულისათვის თავდადებულ კაცს შეეძლო.

დიდი ილიას თქმისა არ იყოს, თუ ქვეყნის ბედმა სიყრმიდანვე აგიყოლია, კიდეც უნდა სდიო მის ვარსკვლავს. ვახტანგ სუდაძეს, რომელმაც თავისი თვალით ნახა და განიცადა 1918-1919 წლების მესხეთში გაჩაღებული უგუნური სეპარატიზმისა და სამოქალაქო ომის მძიმე შედეგები (მაშინ იგი რელიგიურ პრიზმაში გადატყდა), შეუძლებელია არ გასჩენოდა სურვილი ამ დაპირისპირების სიღრმისეული ფესვების გაგებისა, რომელმაც ქართველთა ორივე რელიგიური ფრთა ერთნაირად დააზარალა... ძაღლის თავი კი სულ სხვაგან იყო დამარხული, თანაც ისეთნაირად, რომ ნამდვილი მოძალადეები, როგორც უფრო ძლიერნი, მომრიგებლისა და გამშველებლის როლს იჩემებდნენ. როგორ ჰგავს ეს ყველაფერი დღევანდელ პოლიტიკურ თამაშს. იმ პოლიტიკის მძიმე მემკვიდრეობაა ისიც, რომ საქართველო დღესაც ყოვლად გაუმართლებელი ადმინისტრაციული ავტონომიებით არის შეკოწიწებული და დანაღმული.

1933 წ. თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში პროფ. სერგი მაკალათიამ უმალ შენიშნა მეოცნებე სტუდენტის დაუოკებელი ზრახვანი და მესხეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მიიწვია. ექსპედიციაში მუშაობამ ვ. სუდაძე აქაურ მაჰმადიან ქართველთა თავგადასავლისა და ყოფის შესასწავლად განაწყო. მოკლე ხანში ამას მოჰყვა მეორე, პროფ. მიხეილ ჩიქოვანის ფოლკლორული ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში. ვახტანგ სუდაძე ამ ექსპედიციის სული და გული იყო. ექსპედიციაში მუშაობამ თითქოს გამოკვეთა კიდეც მისი მომავალი გზა. იგი მეცნიერულ კვლევა-ძიებას უნდა გაჰყოლოდა. ომის წინ პედაგოგიურ მუშაობას ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მუშაობაც შეუფარდა, მაგრამ 1941 წ. დაიწყო ომი და ყველაფერი უკან დარჩა. შემდეგ კი: მოქმედი არმია, მძიმე ტყვეობა, ომის შემდგომი პერიოდის სიძნელეები, სამშობლოში დაუბრუნებლობის განცდები, უცხო ქვეყანას თავშეფარებული კაცის უძილო ღამეები...

და კვლავ ფიქრი სიყრმიდან აყოლილ ოცნებებზე და ისევ ყველაფრის გადამტანი შრომა. დიახ, ყველაფრის გადამტანი, რადგან ახლაც ყველაფერს ისევ მისმა თავგანწირულმა შრომამ და ბედის ვარსკვლავს აყოლილმა ზნეობამ უშველა. ღირსებაამაღლებულ შრომაში ყველას მომხმარე და ყველას გამკითხავი ვახტანგ სუდაძე დაიმეგობრეს და შეიყვარეს შრომისმოყვარე გერმანელებმა. შეიყვარეს ისე, რომ ერთ დროს ჰაიდელბერგში ტყვედ ნამყოფი ლამის ჰაიდელბერგის საპატიო მოქალაქედ აქციეს. დაასახლეს, დააოჯახეს, კომერციული სახლი და კერძო კინოთეატრი შეაძენინეს, რომელსაც თანდათან აურაცხელი პატივისმცემელი გერმანელი და ქართველი მაყურებელი გაუჩნდა. ქართველ მაყურებელს რომ ვამბობ, ისინი იმხანად თურქეთიდან გერმანიაში სამუშაოდ ჩასული, ეთნიკურად ქართველი თურქეთის მოქალაქენი იყვნენ, რომელთა დაახლოებამაც ვახტანგ სუდაძეს ახალი სამოღვაწეო ასპარეზი გადაუშალა.

ახალ საქმიანობაში იგი მისიონერული თავგანწირვით ჩაება. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ჰაიდელბერგის ერთ-ერთი ტექნიკუმის შენობაში მოახერხა სპეციალური აუდიტორიის გამოყოფა და იქ ქართველი მაჰმადიანებისთვის ე. წ. „ქართული გაკვეთილების" მიცემა. ეს იყო ერთგვარად მშობლიური ისტორიისაკენ მოხედვის თუ მობრუნების გზა, რის შემდეგაც ბევრმა ახალგაზრდამ გამოთქვა პირვანდელ სამშობლოში დაბრუნებისა და აქ სწავლა-განათლების მიღების სურვილი. ასე გაჩნდნენ თბილისში პირველი ქართველი სტუდენტები თურქეთიდან.

60-ნი წლებიდან უშუალოდ თურქეთში იწყება ბატონ ვახტანგის ე. წ. ეთნოგრაფიული მოგზაურობანი (ასე უწოდებს თვითონ), ეს იყო უახლესი ფოტო და ვიდეო აპარატებით აღჭურვილი ერთი თავგანწირული კაცისა და თვითნასწავლი ეთნოგრაფის მოგზაურობა თუ ექსპედიცია, რომელიც მიზანსწრაფულად დადიოდა ქართული დიასპორის კარდაკარ და ყველაფერ საინტერესოს აფიქსირებდა. სხვათა შორის, ამ მრავალწლიანი და უაღრესად საინტერესო მოგზაურობების მთელი მასალები: ფოტოალბომები, ვიდეოფირები, ყოველგვარი ჩანაწერ-ჩანახაზები, თავისი აპარატურიანად, ბატონმა ვახტანგმა დიდსულოვნად უანდერძა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილებას.

„გაოცებული დავრჩი, — მწერდა ერთ წერილში, — რომ თურქეთის ქართველების 80 პროცენტმა საქართველოს არსებობაც კი არ იცოდა". ამ ფაქტით დაღდასმული სწორედ მაშინ შეხვდა და გაეცნო ასევე გულანთებულ ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანს, აწ განსვენებულ ახმედ მელაშვილს, რომლის მსგავსი მამულიშვილიც სულეიმან მემარნეს (მემარნიშვილის) შემდგომ (XIX ს. დასასრული — XX ს. დასაწყისი), თურქეთის ქართულ დიასპორაში არ გამოჩენილა. თავად ვ. სუდაძე წერს: „ახმედ მელაშვილთან ჩვენი პირველივე თათბირი შეეხებოდა თურქეთში მცხოვრები ოთხი მილიონი ქართველის ბედს, მათ ეროვნულ საკითხს, მათ გათვითცნობიერებას, მათში პატრიოტული გრძნობების აღძვრის საკითხს" (მკითხველს შევახსენებ, რომ 60-70-იანი წლების თურქეთი დღევანდელი დემოკრატიული თურქეთისაგან დიდად განსხვავდებოდა, მაშინ იქ ადამიანთა უფლებები შეზღუდული და დაგმობილი იყო).

ვ. სუდაძემ და ა. მელაშვილმა მთელი გეგმა შეიმუშავეს. ამ გეგმით თურქეთის ქართველებს პირველ ეტაპზე უნდა გაეგოთ სიმართლე საქართველოს შესახებ, რათა ზოგადი წარმოდგენა მაინც ჰქონოდათ სამშობლო ქვეყნის ისტორიულ, სახელმწიფოებრივ თუ კულტურულ-სამეურნეო ვითარებაზე. გადაწყდა, ამგვარი მონაცემებით შედგენილიყო და საცდელად დაბეჭდილიყო მცირე ზომის ცნობარი. ჩანაფიქრი განხორციელდა. ორივემ ერთად შეადგინეს და თურქულ ენაზე დაბეჭდეს ორმოცდაათგვერდიანი ბროშურა „საქართველო" [illegible] უდმა გაამართლა. წიგნ[illegible] ინტერესი გამოიწვია და 3000-ტირაჟიანი ბროშურა უმალ გაიყიდა. ახლა საკითხი დადგა მისი შეკრებისა და ახლიდან გამოცემის შესახებ უფრო დიდი ტირაჟით, მაგრამ მისი განხორციელება იმჟამად თურქეთში არსებული რეჟიმის გამო შეუძლებელი შეიქმნა. ავტორებს მაშინ მხარში ამოუდგა შვედეთში მომუშავე თურქეთის ქართველი ბატონი თევზაძე! რომელმაც ვ. სუდაძის წარსაგებლით ეს უკვე შევსებული (100-გვერდიანი) წიგნი 5.000 ტირაჟით დაბეჭდა და ჰაიდელბერგში ჩაიტანა, საიდანაც გავრცელდა, როგორც თურქეთის დიასპორაში, ისე ჰაიდელბერგის ქართველ მაჰმადიანებში.

ამ თითქმის შეუმჩნეველმა წიგნაკმა მაშინ ქართველ მაჰმადიანთა აზროვნებაში გარდატეხა მოახდინა. მერე და მერე საქმე იქამდე მივიდა, რომ ახმედ მელაშვილის მეცადინეობით დაარსდა ისეთი პერიოდული გამოცემა, როგორიც არის ქართულ-თურქულენოვანი ჟურნალი „ჩვენებური". ასეთი იყო შედეგი ამ ორი გულდამწვარი მამულიშვილის „პირველი თათბირისა".

„რაც შეეხება ახმედ მელაშვილთან ჩემს მეორე თათბირს,— იხსენებს ბატონი ვახტანგი, — მაშინ საკითხი დაისვა რომელიმე ქართულ სოფელში ისეთი კულტურის სახლის აშენებისა, სადაც თავს შეიყრიდა ქართული დიასპორა, უშიშრად ისაუბრებდნენ მშობლიურ ენაზე და აღარ დაიკარგებოდა ქართული ენა". ხალხთან ბჭობის შემდეგ ასეთ ქართველებით დასახლებულ სოფლად შერჩეულ იქნა ახმედ მელაშვილის მეუღლის სოფელი ხეირია.

ვახტანგ სუდაძე ჰყვება: „მეორე დღეს სოფ. ხეირიაში წავედით. მუხთარმა (მამასახლისი — შ. ლ.) სოფლის მცხოვრებნი მოიწვია. თავში მე და ახმედი დავსხედით. ჩვენს გასწვრივ სოფლის თავკაცები ჩამოსხდნენ. სიტყვა მე მომცეს". ვახტანგმა სიტყვა, როგორც ჩანს, პატრიოტული განწყობის შექმნით დაიწყო. ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული ჩვენი საერთო წინაპრები, ისტორიული გმირები მოიგონა. როცა მოხუცებმა ლოცვა აღავლინეს და მათ სულებს „ჯანათში" ყოფნა უსურვეს, ვახტანგმა განაგრძო, ჩვენი ვალია მათი ენა და ადათ-ჩვევები წმინდათ შევინახოთო. და სიტყვა თანდათან სოფ. ხეირიაში კულტურის სახლის აშენების საჭიროებაზე გადაიტანა. წამოდგა სოფლის ერთ-ერთი თავკაცი ალი ჯინჭველაძე და ვახტანგს მიმართა: — თქვენ, ახალ-ოღლი (ეს ვახტანგ სუდაძის თიკუნი იყო თურქეთში), ყველაფერი კარგად ილაპარაკეთ, მაგრამ კულტურის სახლის აშენებაზე არ გეთანხმებით, ჩვენ ნამუსიანი ოჯახები ვართ, ჩვენს ცოლებს კულტურის სახლში არ გავგზავნითო. ალი ჯინჭველაძეს აქეთ-იქიდან დაემოწმნენ. ვახტანგ სუდაძე იძულებული გახდა უფრო გრძელი განმარტებით გამოსულიყო. თანდათან დარწმუნდნენ ასეთი ცენტრის აშენების სიკეთეში. მაგრამ ხალხის ნაწილი კულტურის სახლის მშენებლობის ხარჯებმა დააფიქრა. ყველაფერი ისევ ვახტანგ სუდაძის საბოლოო სიტყვამ გაარკვია, მან თქვა, კულტურის სახლის მშენებლობას გაუძღვება თქვენივე ნათესავი, პატრიოტი, არქიტექტორი ახმედ მელაშვილი, რაც შეეხება მშენებლობაზე გაწეულ ხარჯს, თავიდან ბოლომდე მე ვკისრულობ. გერმანიაში დავბრუნდები თუ არა, შევაგროვებ მშენებლობის ფულს და გადმოგიგზავნითო. ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

ვახტანგ სუდაძემ დაპირება შეასრულა. ხეირიაში სამსართულიანი დიდი კულტურის სახლი აღიმართა. პირველი სართული დაეთმო სამკურნალო და სავაჭრო განყოფილებას. მეორე სართულზე გაიხსნა ქორწინების სახლი და ყავახანა, მესამე სართული მთლიანად ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა დაიკავა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ამ ანსამბლმა მოკლე ხანში საყურადღებო წარმოდგენები გამართა არა მარტო თურქეთის სხვადასხვა ქალაქში, არამედ საზღვარგარეთაც. ჰაიდელბერგში ამ ანსამბლის კონცერტები ქვეყნის ცენტრალური ტელევიზიითა და რადიოთიც გადაიცა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ლეგენდარული პეტრე ხარისჭირაშვილის შემდეგ, უცხოეთში ქართული ეროვნული საქმისთვის ამ მასშტაბის მშენებლობა, როგორც ამ ორმა პატრიოტმა წამოიწყო, არავის განუხორციელებია.

ცალკეა შესასწავლი ბატონ ვახტანგის ეთნოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის მოგზაურობა-დაკვირვებები. ხალხში ჩაწერილი მისი „მოგონებები" სავსეა ისტორიული სახელებით: დავით მეფე, თამარ მეფე, რუსთაველი, სელიმფაშა ხიმშიაშვილი და სხვა.

XIX საუკუნის ბოლო წლებში დიმიტრი ბაქრაძისა და გიორგი ყაზბეგის მოგზაურობებმა თურქეთის საქართველოს კვლევა-ძიების საქმეში მთელი ეპოქა შექმნა, რასაც XX საუკუნის დამდეგს გვირგვინი დაადგა ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევებმა. რაც შეეხება ქართველ მუჰაჯირთა საკითხის შესწავლას, იგი მეტ-ნაკლები წარმატებით ცალკეულ ენთუზიასტთა და მოგზაურთა ღვწაზე იყო დამოკიდებული.

მუჰაჯირთა საკითხს სერიოზული ყურადღება XIX საუკუნის დამლევს სტამბოლში ფერიქევის მონასტრის ქართველმა კათოლიკე ბერებმა მიაქციეს, როცა მათ სამცხე-ჯავახეთიდან და აჭარიდან გასახლებულთა ერთმა ნაწილმა მიაკითხა და ქართული წიგნებითა და გაკვეთილებით დახმარება სთხოვა. მაშინ ამ პატრიოტულ მოძრაობაში ჩაებნენ ადგილობრივი (იმერხეველი) სულეიმან მემარნე, ფერიქევის მონასტრის ბერი შალვა ვარდიძე, მასწავლებელი ილია მეღვინიშვილი, პატრიოტები: სტეფანე გიორგაძე, პიო ბათმანაშვილი და სხვანი. ქართულ დიასპორაში მათი გახშირებული მისვლა-მოსვლა იქამდე მივიდა, რომ 1912-1913 წლებში ისმითის სანჯაყში რეალურად დადგა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული სკოლის დაარსების საკითხი. რასაც შემდეგ პირველი მსოფლიო ომისათვის მზადებამ შეუშალა ხელი. ქართულ დიასპორაში ეს საკითხი დღემდე ნატვრად არის დარჩენილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, სხვებთან ერთად ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ახმედ მელაშვილი და ვახტანგ სუდაძე. ახმედის ვერაგული მკვლელობის შემდეგ ქართული დიასპორის საკითხთა შესწავლას ხელი მიჰყო ვახტანგ სუდაძის მოსწავლემ და თანამებრძოლმა აბდურახმან ჩეთინქაიამ (ილია ხიმშიაშვილმა), რომელიც ამჟამად თავის პოლიგლოტ ქალიშვილ ნინო ხიმშიაშვილთან ერთად გერმანიაში საქმიანობს.

ამას წინათ, როცა თურქეთის პრეზიდენტი ბატონი დემირელი ეწვია საქართველოს, თან ახლდა ქართული წარმოშობის მოხელეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მთელი გუნდი, რამდენიმე მათგანი ტელევიზიით ქართულადაც მოგვესალმა. თურქეთში დღეს ვითარება აბსოლუტურად შეცვლილია. იგი ჩვენი საიმედო სამხრეთელი მეზობელია. და რაოდენ გულსატკენია, რომ ასეთ დროს ჩვენ რიგიანად ვერ მივხედეთ ჩვენს დიასპორას, რომელთა რაოდენობას ახლა ხუთ მილიონამდე ითვლიან.

საჭიროა ამ საკითხისადმი ძველი დამოკიდებულების შეცვლა. დღეს ამ დიასპორის კვლევა დაკავშირებული არ უნდა იყოს რომელიმე ფულიანი კაცის ნებაზე. ეს დიდი ეროვნული საქმეა და დელეგაციების თუ ცალკეულ პირთა მივლინება სახელმწიფო დონეზე უნდა მოგვარდეს.

შოთა ლომსაძე.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმი

გაიხსნა ქართული ემიგრაციის მუზეუმი

1994
ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი
ALL GEORGIAN WORLD CONGRESS
ВСЕМИРНЫЙ КОНГРЕСС ВСЕХ ГРУЗИН

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმის შთამბეჭდავ მოვლენად იქცა ქართული ემიგრაციის მუზეუმის დაარსება, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 11 ოქტომბერს. მან ბინა დაიდო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მერვე კორპუსის შენობაში ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე. ამ მუზეუმის დაარსება ქართული კულტურის ჭეშმარიტად დიდი შენაძენია.

ბატონიშვილ ქეთევან ბაგრატიონს წილად ხვდა პატივი გაეჭრა ლენტი. ყოველთა ქართველთა კონგრესის პრეზიდენტმა რეზო ჩხეიძემ მიულოცა შეკრებილთ ეს სასიხარულო ფაქტი ჩვენი ერის ცხოვრებაში და თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მუზეუმის ექსპონატები საშუალებას მისცემს მის დამთვალიერებლებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას გაიცნოს საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი ერის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილის ცხოვრება და საქმე, რომელთა შესახებაც აქამდე მწირი მონაცემები გვქონდა და, საერთოდ, მათზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. მუზეუმის ექსპონატები თვალნათლივ მოწმობენ თუ როგორ შეინახა ქართულმა ემიგრაციამ საზღვარგარეთ ქართველი ერის განძი, და როგორ დაეხმარა ფრანგი ხალხი ქართველებს, რომ ეს განძი საქართველოს დაბრუნებოდა.

ბატონ რეზო ჩხეიძის წინა დებით შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს პირვე ლი ემიგრაციის წარმომადგენლ ბის ხსოვნას, რომლებიც ფრან გულ მიწაში განისვენებენ და საერთოდ, ყველა ქართველი ემი გრანტის ხსოვნას. მან უდიდეს მადლიერების გრძნობით მოიხს ნია ჩვენი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების რეზო თაბუკაშვილი სა და გურამ პატარაიას სახელე ბი, რომლებიც რუდუნებით აგრო ვებდნენ უცხოეთში მიმობნეულ ქართულ საგანძურს. აგრეთვე დი დი მადლობა გადაუხადა პროფე სორ გურამ შარაძეს, რომელმა მისხალ-მისხალ, ნაწილ-ნაწილ შე აგროვა ეს უდიდესი განძი და თავი მოუყარა ამ მუზეუმში, რო მელსაც ამიერიდან თავად უზი მნახველებს. და ბოლოს, ამ მუ ზეუმის დაარსება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა რესპუბლიკის ხელისუფლების, სახელმწიფოს მე თაურის უშუალო მხარდაჭერა და დახმარება. ბატონმა რეზო ჩხე ძემ მუზეუმი გახსნილად გამოა ხადა.

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ქა თველ ერს, საქართველოში მსოფლ იოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოს ქართველებს მხურვალედ მიულ ცეს საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქა თველოში ბერნარ ფასიემ, საქა თველოს საგანგებო და სრულ უფლებიანმა ელჩმა საფრანგეთ გოჩა ჩოგოვაძემ, საქართველ პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორ დანიას ვაჟმა რეჯებ ჟორდან აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფ ნიძემ, პარლამენტის წევრმა ვა ლერი ასათიანმა, საფრანგეთ ქართული დიასპორის თვალსაჩ ნო წარმომადგენელმა ექიმმა რე ზო ნიკოლაძემ, პროფესორმა ნ სმაგ გორდეზიანმა, პროფესორ გურამ შარაძემ.

გახსნის დღეს მუზეუმს შეე ა პირველი ძვირფასი ექსპონ ტები, რომლებიც საჩუქრად გად ცეს მის დირექტორს.

რეპლიკა

ერთი ფურუნკული და ძვირი მედიკამენტი,

ანუ ის კი კვდება... სიცილით

თავისუფალ საქართველოში რეპლიკა ყველაზე მოხერხებული და უვნებელი იარაღია. გაცხარებული ესვრი სამიზნეს, შენ გულს იოხებ, ის კი კვდება... სიცილით. რატომაც არ გაიცინებს?! ვინც რა უნდა თქვას, წისქვილი მაინც თავისას ფქვავს.

გინახავთ საწყალ კაცს ალმართში როგორ ეწევა ფურუნკული? არა?! მე კი ისეთ ადგილზე წამომეწია, სულ საბაზრო ეკონომიკის მომგონი მაწყევლინა. მკურნალობა ჯერ უფასო სამკურნალწამლო საშუალებებით დავიწყე. ისედაც გაპარტახებულ გაზონებსა და პარკებში მრავალძარღვა არ დავტოვე და ძველ დასახლებებში — კომშის ფოთოლი. თქვენც არ მომიკვდეთ! იმ წყეულმა ისე გაიმაგრა პოზიციები, რომ ვერც შემწვარმა ხახვმა დაძრა ადგილიდან და ვერც უმმა კომბოსტომ.

ამიტომ მკურნალობის იძულებითი ღონისძიება გამოვიყენე და კანისა და ვენეროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ვეწვიე.

თეთრ ხალათზე ტევადი, ბარაქიანი ჯიბე მარტო ცხვირსახოცისთვის რომ არ არის მიკერებული, მგონი ახალშობილმაც იცის. „გადარუბლებული" ერთი თვის ხელფასი ფურუნკულით კი არა, პარკინსონით შეწუხებული ავადმყოფივით ჩავაცურე თუ არა, ჩე მი ექიმი ნაკადულივით არაკრა და: აუცილებლად გჭირდება ტიოლი, აგერ გვერდით გიასთ 2 ათასი რუბლი გადაიხადე, რი ნოლი მეორე სართულზე — ათასად აქვს ლიას, კასტელან თვის იასთან შეიარე, მგონი, ათასი ღირს,. ნორსულფაზოლი - სანჯლორი მზიას ექნება 5 ათას ნეთად, ტეტრაციკლინი, პოლ ტამინი... გექნება?!

ჩიჩახვი ინდაურივით ამითამ და და ძლივს ამოვიდახვანე — არა-მეთქი. ნეტავ სიმართლე მე ქვა, საინტერესო, სადამდე ა ვებდა...

დახეთ, რამდენი „მოძრავი" ა თიაქი ჰქონია ერთ სამედიც დაწესებულებას. ვინ ამარაგ მედიკამენტებით გიას, ლიას, მ ას, იას და მისთანებს?

დამბრალებელმა უფრო დი ცოდვა ქნა, ვიდრე მომპარავმა — ნათქვამია, ამიტომ ბრალ ბებით მაინცდამაინც „ჩოხა-ა ლუხს" არ შემოვიფხრიწავ. თუ ცა, ერთი კითხვა კი ფურუნკულ ვით მაწუხებს: მართლა ავადმყ ფებს ხმარდება ჰუმანიტარულ ტვირთიდან სამედიცინო დაწ ბულებებისათვის განაწილებუ მედიკამენტები?

ლეილა კოშკა

შვილები ბიჭიკო, პალადი, მერი, მავრა ქაძანაიები, შვილიშვილები ვალერი, გურამი, ლია, ნატო ქაძანაიები, ენვერი, დონარა, ირინა ნარიმანიები, რძლები დოდო ტყებუჩავა, ნაირა თოფურია, ნანა თორია, სიძეები შაქრო ესართია, ლევან აქუბარდია, ემზარ ბუბუტეიშვილი, გია იოსავა, შვილთაშვილიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანუჩა (ძაბა) მურზას ასული ქარცხია (ქაძანაია)

პანაშვიდი: 13, 14 ოქტომბერს — 15.00 სთ.
დაკრძალვა: 15 ოქტომბერს — 15.00 სთ.
გამოსვენება: ყიფშიძის ქ. № 9, ბინა 52.

ავიაკომპანია „ეარ ჯორჯია" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მანუჩა (ძაბა) მურზას ასული ქარცხია (ქაძანაია)

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ორგანიზაცია გთავაზობთ გერმანული წარმოების საკანცელარიო საქონელს.
ანგარიშსწორება მხოლოდ კუპონებში.
ტელ: 95-45-94

შევასრულებთ ბინის ან ოფისის მთლიან რემონტს.
დაგეხმარებით ლითონის კარების იაფად დამზადებაში,
ტვირთისა და ბარგის გადაზიდვაში.

საშენი მასალების, მშენებლობისა და არქიტექტურის ფირმა
«ქარვასლა»
დაგვირეკეთ სამუშაო საათებში:
95-36-71, 39-04-94

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 12 ოქტომბრის ნომრის მესამე გვერდზე გამო ვეყნებულ მასალაში **„ძმისაგან ჩაცემული მახვილი"**, მესამე სვეტ ქვემოდან პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს: **„ძნელია აუღელვებლად გაეცნო ყველა იმ არაადამიანობას, რასაც ექსპრეზიდენტ მომხრეები ხელისუფლების მოპოვებისთვის აკეთებდნენ, მაგრამ ის რაც 1993 წლის 28 და 30 ოქტომბერს მოხდა, ყოველგვარ ზღვარ სცილდება და მშობელი ქვეყნისა და ხალხის უმძიმესი ღალატია...** შემდეგ როგორც ტექსტშია.

[illegible]

ხანძარი ზესტაფონის ტყეებში

ამ დღეებში ბაღდათ-ზესტაფონის რაიონების საზღვარზე ვაკნარის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტყეებში ცეცხლი მოედო ხანგრძლივი გვალვით გაფიცხებულ მცენარეებს. ხანძარი სამი დღეღამის განმავლობაში მძვინვარებდა. რაიონის გამგეობამ სასწრაფოდ შექმნა სტიქიის წინააღმდეგ მებრძოლი შტაბი.

ხანძრის ჩასაქრობად გამოვიდა სოფლების I და II სვირის, კვალითის, ცხრაწყაროს და ტაბაკინის მოსახლეობა, რაიონის სახანძრო რაზმები, ზესტაფონში დისლოცირებული შინაგანი ჯარის მებრძოლები მაშველთა კორპუსის ზესტაფონის განყოფილების მუშაკები. ხანძრის ადგილზე სასწრაფოდ ჩამოვიდნენ აგრეთვე რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის წარმომადგენლები, რომლებმაც ჩამოიტანეს მედიკამენტები და სხვა საჭირო მასალები. მსხვერპლი არ არის.

ხანძრის ეს კერა, რომელმაც მოიცვა 150 ჰექტარი ტყე, ლიკვიდირებულ იქნა, მაგრამ 11 ოქტომბერს სოფელ ძირულაში, თეთრი მთის წვერზე კვლავ გამოჩნდა ალი. ახლა მთელი ძალები იქით გადაისროლეს. მოსახლეობა ებრძვის სტიქიას. მობილიზებულია ყველა საშუალება. პარალელურად მიმდინარეობს ზარალის დადგენა.

ჰ. შარიქაძე,
„სრ" საკ. კორ.

გთავაზობთ!
საწერ, საბეჭდ,
ქსეროქსის, პრინტერის,
სარედაქციო პერგამენტის
და ფინური წარმოების
სატიტულე ბლანკების
ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით.
ანგარიშსწორება,
როგორც ნაღდზე, ასევე
გადარიცხვით
☎ 38-91-64

ამერიკაში ასეა...

საჰაერო მეკობრეობასთან ბრძოლა აეროპორტის შესასვლელთან იწყება

„ამერიკელები ტყუილად არ გაირჯებიან, პრაქტიკული ხალხია; ისე, ძალიან თბილად, ყურადღებით გვეპყრობოდნენ, მზრუნველობას არ გვაკლებდნენ. მადლობა მათ ამისთვის"!

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის სატრანსპორტო საგამოძიებო სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი რევაზ გოგელია ჭერაც ამერიკული შთაბეჭდილებების ტყვეობაშია. მართლაც, ძნელია, მთელი ერთი კვირა დაჰყო თითქმის ყველა ღირსებით შემკულ სახელმწიფოში და ასე იოლად დაივიწყო იგი...

სანამ თავისუფლების ჰაერს ჩაისუნთქავ...

ამერიკაში, ვაშინგტონში, ჩვენი ჩამოსვლის წინ, კინაღამ ტრაგედია მოხდა — ვიღაც დამთხვეული, თვითმფრინავით თეთრ სახლს დაენარცხა. ერთი ამბავი იყო, თუმცა ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

საოცარი დამთხვევაა: საქართველოს წარმომადგენელთა ამერიკაში ჩასვლის მიზანს (ოღონდ სულ სხვა პლანით) ხომ საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის თანამედროვე გამოცდილებისა და პრაქტიკის გაცნობა წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ ეს ვიზიტი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწვევით მოეწყო. მგზავრობის ხარჯიც მათ გაიღეს.

წლეულს, 12 სექტემბერს, საქართველო „იკაოს" სრულუფლებიანი წევრი გახდა. ეს ნებაყოფლობითი საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიოს 40 ქვეყანას აერთიანებს და მისი ფუნქცია საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო მოძრაობის ხელშეწყობაა.

ავიაკომპანია „ეარ-ჯორჯიის" თვითმფრინავით 11 სექტემბერს გაემგზავრნენ. ჯგუფი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო: სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები , სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი დავით გულუა, ჩვენი თანამოსაუბრე რევაზ გოგელია, „ეარ-ჯორჯიის" პრეზიდენტი დემურ ლელაძე, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტების უფროსები და მათი მოადგილეები უშიშროების რეჟიმის დარგში.

„სანამ, აეროპორტიდან ამერიკაში, ჭეშმარიტად თავისუფალ ქვეყანაში, მოხვდები, ათასი პროცედურა, შემოწმება უნდა გაიარო. მათთვის სულ ერთია, რა ღირსების სტუმარი ხარ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა პასპორტში შტამპს ჩაგირტყამენ, გაქვს უფლება, შვებით ამოისუნთქო".

მთავარია, ღირსება!

ისე არ გავა, მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებმა შეშფოთებით არ გვამცნონ: ტერორისტებმა თვითმფრინავი გაიტაცეს, მგზავრები მძევლებად ჰყავთ, არაბეთის ან ევროპის ამა და ამ ქვეყანაში სურთ დაჯდომა ან მძევალთა გამოსასყიდად ამდენი თანხა მოითხოვეს.

გემახსოვრებათ, ამ ათიოდე წლის წინათ, თბილისში დატრიალებული ტრაგედია, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ამასწინანდელი ამბები.

პროგრესული მსოფლიო ერთსულოვნად გმობს და ებრძვის ამ მოვლენებს.

ამ ბრძოლის ავანგარდად დღეს ამერიკის შეერთებული შტატები გვევლინება. მას საამისოდ ფულიც ჰყოფნის, გამოცდილებაც და კულტურაც: „ამერიკელები გაუკეთებელს გააკეთებენ, შეუძლებელს შეძლებენ, თავისი ავიაკომპანიის, ასევე ამერიკისა და ამერიკელის ღირსების დასაცავად" — ამბობს ბატონი პოლკოვნიკი.

ვაშინგტონში ადმირალი ფრიდი და საჰაერო ტრანსპორტზე ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლები დახვდათ. გულთბილი შეხვედრა იყო, თუმცა აეროპორტში სავალდებულო შემოწმება ყველამ გაიარა...

„ამერიკაში არ იციან სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა

— **ჩვენთან** საპატიო სტუმარს სპეციალური სათადარიგო გასასვლელით გაატარებენ ხოლმე, — სინანულით მიამბობს რევაზ გოგელია, — იქ ყველაფერი წესითა და კანონით კეთდება: ჯერ, სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარიულ გამოცდას უნდა გაუძლო. ამის შემდეგ, სპეციალურ ანკეტას შეგავსებინებენ. რა მიზნით ხარ ჩამოსული? რამდენი ხნით? ინგლისური არ იცი?! — ეს არ არის [illegible] პრობლემა, თარჯიმანს უნდა უხმო.

— ჩვენნაირად, ჯიბეებსა და ჩემოდნებს თუ გადაგიქოთებენ?

— ამერიკაში არ იციან სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა. თითქმის ყველა ოპერაციას სპეციალური ტექნიკა ასრულებს. ფსიქოლოგიური შემოწმების მეთოდებიც აქვთ დამუშავებული. თუ შეგატყობენ, უბრალო ხარ, შეიძლება არც გაგსინჯონ. გერმანიაშიც ასეა. საერთოდ, გიჯობს სუფთა იყო, თორემ გამოგაგდებენ — ვერც იქით წახვალ, ვერც — აქეთ.

— იარაღს თუ შეიტან?

— ნურას უკაცრავად, იარაღის შეტანა-გამოტანა შეუძლებელია.

საერთოდ, ამერიკაში შესვლა უფრო ჭირს. გამოსვლისას კონტროლი ნაკლებია.

ლექციები დღის სამ საათზე უმთავრდებოდათ. სპეციალური ავტობუსი ემსახურებოდათ — ათვალიერებდნენ ვაშინგტონის ღირსშესანიშნაობებს.

ერთად უნდა ვებრძოლოთ!

იმოგზაურეს ვირჯინიასა და ბალტიმორში.

— თეთრი სახლის შემოგარენში, ტრუსებით, მაისურებით დარბიან ადამიანები, ვარჯიშობენ. არავის უკვირს. ვარჯიში ამერიკაში საყოველთაოდ აღიარებული ცხოვრების წესია: ახოვნად, სპორტულად გამოიყურებიან, თუმცა ერთი 400- კილოგრამიანი ქალიც ვნახეთ...

ქუჩებში მრავლად არიან, ეგრეთწოდებული „მეორეხარისხოვანი" ადამიანები. საერთოდ, იგრძნობა, რომ ვაშინგტონში ყველაზე პრივილეგირებულები მაინც ზანგები არიან.

— ბატონო რევაზ, მაინც რა ისწავლეთ ამერიკელი სპეციალისტებისაგან?

— ფაქტობრივად, რაც ჩვენ ვიცით, იმათაც ის იციან, ოღონდ ამ ცოდნას პრაქტიკულად იყენებენ, რასაკვირველია, ტექნიკური საშუალებებითაც გვჯობნიან.

— მაინც, როგორ წარმოუდგენიათ მათ „საჰაერო მეკობრეებთან" ბრძოლა?

— თვითმფრინავისა და მგზავრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამერიკაში დედამიწაზე იწყება. ეს არის აეროპორტის დაცვის პრობლემა, საეჭვო პირთა შემოწმება და თვალთვალი. აქ თვალთვალის კულტურა და შენიღბვაა მნიშვნელოვანი. მოდის კაცი, ნერვიულობს... ყველაფერს უნდა მიაქციო ყურადღება; თუმცა ამ საქმის სრულფასოვნად გაკეთება თითქმის შეუძლებელია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად.

აეროპორტი, მოგეხსენებათ, ზონებად არის დაყოფილი. კონკრეტული თანამშრომლები კონკრეტულ ზონას ემსახურებიან, მათ სხვის ტერიტორიაზე გასვლის უფლებაც კი არა აქვთ...

ჩვენთან, ჯერჯერობით, დომხალია!

— რა უნდა გააკეთოს საქართველომ ამ ბრძოლის გააქტიურებისათვის?

— ვირჯინიისა და ბალტიმორის აეროპორტები დავათვალიერეთ. რა კარგად აქვთ საქმე! 6 მილ[illegible] დოლარის ღირებულების სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა წამოვიღეთ.

უპირველესი ამოცანაა, აეროპორტის სხვადასხვა სამართალდამცავი სუბიექტების უფლება-მოვალეობათა გამიჯვნა. უშიშროების სამსახურმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, სასაზღვრომ და საბაჟომ — თავისი, სატრანსპორტო პოლიციამ — თავისი.

— ვინ მიდის პირველად თვითმფრინავთან?

— აეროპორტის უშიშროების სამსახური. დღეს ჩვენთან დომხალია, ვინ რას აკეთებს, ვერ გაიგებ! პოლიცია მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს საქმეში, როცა ოპერატიულ ინფორმაციას ფლობს. საერთოდ, აეროპორტის უფროსის როლი უნდა გაიზარდოს. მან უნდა გაუწიოს კოორდინაცია ყველა ხსენებული სამსახურის მუშაობას.

— საქართველოს ტერორისტული ქვეყნის სახელი აქვს გავარდნილი. რა იციან ამის შესახებ ამერიკელებმა?

— დისკრიმინაცია არ გვიგრძვნია; პირიქით, ძალიან კორექტული იყვნენ. საერთოდ, ჩვენს შესახებ აბსოლუტურად ამომწურავი ინფორმაცია აქვთ.

შევარდნაძის ფაქტორი ძალიან ძლიერია ამ ქვეყანაში. გკითხავენ — საიდან ხარ? უპასუხებ — ჯორჯია! და — ა, შევარდნაძე! შევარდნაძე!.. მოგიგებენ. ისე, ქართველებს განსაკუთრებით, გერმანიაში სცემენ პატივს.

— ბოლო ხანს, ჩვენს ტურისტებს უცხოეთიდან თვითმფრინავით დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებები ჩამოაქვთ. ეს პრაქტიკა ამერიკაშიც არ იქნება უცხო.

— ამ ფორმით ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელება ამერიკაში ტერორიზმთან ბრძოლის რანგშია აყვანილი. აქაც გადამწყვეტ როლს ტექნიკური საშუალებები ასრულებენ. მრავლად ჰყავთ სპეციალურად დაგეშილი ძაღლები...

ჩვენი მწირი ტექნიკური საშუალებების პირობებში, წლეულს, სხვადასხვა ტრანსპორტის მგზავრს 20 კილოგრამი „მარიხუანა" და 400 გრამი „ოპიუმი" ჩამოვართვით.

მხოლოდ მოლაპარაკების გზით

— დავუშვათ, თავის მგზავრებიანად, მაინც მოიტაცეს თვითმფრინავი. ბრძოლის რა გზას აირჩევენ ამერიკის სპეცსამსახურები?

— მხოლოდ მოლაპარაკების გზას. თუნდაც 40-60 დღეს გაგრძელდეს ეს პროცესი, უკან არ დაიხევენ. საერთოდ, ამერიკელებს ერთი შემთხვევაც არა აქვთ პრაქტიკაში, ბრძოლის ამ გზას შედეგი არ გამოეღოს.

პოლკოვნიკ რევაზ გოგელიას მეუღლე და ერთი ვაჟი ჰყავს.

ჩვენც გვყავს ოჯახები.

„საჰაერო მეკობრეების" ტყვეობისათვის ვინ გაიმეტებს დედას, მამას, ცოლს, შვილს?!

ამიტომ, სანამ გვიან არ არის, მივუგდოთ ყური საღ აზრს. მსოფლიო თანამეგობრობასთან ალიანსში ვებრძოლოთ XX საუკუნის ამ ბარბაროსულ მოვლენას.

ზაურ მაკარაძე.

სურათზე: სტუმრად ამერიკელ კოლეგებთან.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილ